ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №38, მაისი, 2017 წელი

23 მაისი, სვიმონ ჯანჯანელის ხსენების დღე, აქიერიდან აფხაზეთის დღეცაა და ის სრულიად საქართველოს ჯათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაწესდა. სვიმონ ჯანჯანელი იყო თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი, რომელმაც საქართველოში იქადაგა და აქვე აღესრულა. იგი დაჯრმალულია აფხაზეთში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება ამ დღეს წელულსაც დევნილობაში მყოფ აფხაზეთის საზოგადოებასთან და შემოქმედებით კოლექტივებთან ერთად აღნიშნავს.

აფხაზეთის საგუნდო კაპელა - საერთაშორისო ფესტივალებზე

გვ. 3

სოხუმის თეატრმა ახალსახლობა იზეიმა

გვ 4

გენო კალანდიას ხსოვნას!

გვ 5

ნაკვალევი, რომელსაც ომიც კი ვერ შლის

გვ 9

სოხუმის საკათედრო ტაძარი

ბეჟან ხორავა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის წარდგინებით, სოხუმის საკათედრო ტაძარს (4 მარტის და კ. ლესელიძის ქუჩების გადაკვეთაზე) უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსეთი აფხაზეთში დამკვიდრდა, ქრისტიანობა ამ მხარეში სავალალო დღეში იყო, არც ერთი ეკლესია მოქმედი არ იყო. რუსეთის ხელისუფლება და აფხაზეთის მთავარი ამ მხარეში პოზიციების განმტკიცების მიზნით ქრისტიანობის გავრცელებას ცდილობდნენ. რუსეთის ხელისუფლება დამპყრობლურ მიზნებს და კოლონიურ პოლიტიკას ქრისტიანობის მფარველობით ნიღბავდა. ქრისტიანობის გავრცელება რუსეთის პოლიტიკური გავლენის გავრცელებას მოასწავებდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის სამთავროში ქრისტიანობის აღორძინებას ყურადღება მიექცა.

გაგძელება გვ.8

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა

ეკატერინე გადილია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ თავისავე სააქტო დარბაზში 2016 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა. თავყრილობას უძღვებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი.

ანგარიშის წარდგენას საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში,** ამავე კომიტეტის თავმჯდომარის პირველი

მოადგილე **გენადი მარგველაშვილი,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ელგუჯა გვაზავა,** აფხაზეთის ა/რ მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე - განათლება, კულტურა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სპორტი და ა. შ. - განხორციელებულ პროექტებსა თუ პროგრამებზე დამსწრეთა წინაშე მოხსენება გააკეთა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ **მანანა ქვაჩახიამ.**

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობასა და მათ საერთაშორისო აღიარებებზე ისაუბრა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ლევან ღვინჯილიამ.** მანვე წარადგინა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და აფხაზეთის სახელმწი-

ფო კაპელა (სამხატვრო ხელმძღვანელი **ზვიად ბოლქვაძე),** რომელთა მიერ შესრულებულმა მუსიკალურმა ნომრებმა დარბაზის მქუხარე ოვაციები გამოიწვია. გარდა ამისა, სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა „თეთრმა ტალღამ“ დამსწრეთ ნაწყვეტი სპექტაკლიდან „გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“ უჩვენა, აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა კი აფხაზურენოვანი სპექტაკლი.

„ყელში მობჯენილი მონატრება“...

მოზარდების მიერ აფხაზურენოვანი სპექტაკლით გადმოცემული სათქმელი

ნინო ლობჟანიძე

თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში მდებარე აფხაზეთის №2 საჯარო სკოლაში აფხაზური ენის ინტეგრირებული გაკვეთილი ჩატარდა. სკოლის მოსწავლეებმა სტუმრებს აფხაზეთის ისტორიის, გეოგრაფიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაცია აფხაზურ და ქართულ ენებზე გააცნეს. აგრეთვე აფხაზურ ენაზე წაიკითხეს ცნობილი აფხაზი პოეტების ლექსები. გაკვეთილის ბოლოს ახალგაზრდებმა სიმბოლურ „ნატვრის ხეზე“ ფურცლრბზე გადატანილი სურვილები დაკიდეს.

გაკვეთილს ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია,** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე **პეტრე კანკავა,** აფხაზეთის ა/რ განათლებისა და

კულტურის მინისტრი **დიმიტრი ჯაიანი** და მინისტრის პირველი მოადგილე **მანანა ქვაჩახია.**

აფხაზური ენის გაკვეთილის შემდეგ **ვახტანგ ყოლბაიამ** განაცხადა: „აფხაზური ენის სწავლების შემოღებას ჩვენს მიერ დაქვემდებარებულ სკოლებში დიდ მიღწევად მივიჩნევთ. მე პირადად მესამედ ვესწრები აფხაზური ენის გაკვეთილს და სწავლების მეთოდიკის საკითხებში პროგრესსაც ვამჩნევ. მეამაყება, რომ ჩვენი ბავშვები ასე კარგად ეუფლებიან აფხაზურ ენას. ამაში დავრწმუნდი მეც და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე პეტრე კანკავაც, რომელიც ჩვენთან ერთად ესწრებოდა ღია გაკვეთილს. ალბათ შეგვიძლია კიდეც ვიამაყოთ იმით, რისი გაკეთებაც მოხერხდა მომავალი თაობებისთვის აფხაზური ენის პოპულარიზაციის მხრივ. შეუძლებელია გულგრილად გადაავლო თვალი ბავშვების ასეთ გულმოდგინებას, როცა ისინი აფხაზურ ენაზე ცნობილი პოეტების ლექსებს კითხულობენ, გვიყვებიან აფხაზეთის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

მადლობა მინდა გადავუხადო მშობლებს, პედაგოგებს, თავად ბავშვებს, სკოლის დირექციას, აფხაზური ენის შესწავლის საქმეში დიდი წვლილის შეტანისთვის. სწორედ ეს გახლავთ აფხაზებთან ჩვენი ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენის ერთერთი წინაპირობა. აფხაზებისადმი პატივისცემა იმითაც უნდა გამოიხატოს, რომ ჩვენ ქართველებს მხოლოდ აფხაზურ ენაზე საუბარი კი არ შეგვეძლოს, არამედ, გავაკეთოთ ყველაფერი აფხაზური ენის შესწავლა-განვითარებისა და მისი მომავალი თაობებისთვის შესანარჩუნებლად“.

აფხაზეთის №2 საჯარო სკოლამ აფხაზური ენის ინტეგრირებული გაკვეთილის შემდეგ იგივე სტუმრები მოსწავლეების მიერ აფხაზურ ენაზე წარმოდგენილი მინი-სპექტაკლის „ყელში

მობჯენილი მონატრება“ პრემიერაზე მიიწვია. სპექტაკლში აფხაზებისა და ქართველების მეგობრული და სიყვარულით სავსე თანაცხოვრება, აფხაზურ ტრადიციებსა და სტუმარმასპინძლობაზე აგებული ურთიერთობები და ყოველივე ამის მონატრება იყო გადმოცემული. სპექტაკლზე მოსწავლეებმა ქართულ-აფხაზური სიმღერები და აფხაზური ცეკვებიც შეასრულეს, რითაც აფხაზური ენისა და კულტურის ცოდნა და პატივისცემა გამოხატეს.

სპექტაკლს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის წარმომადგენელი **თამარ ჯაყელი,** აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები.

ვირტუალური მუზეუმის პრეზენტაცია შედგა

სალომე თორია

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში „აფხაზეთის ა/რ ისტორიის, კულტურისა და ეთნოლოგიის ვირტუალური (ონლაინ-მუზეუმი) მუზეუმის“ პრეზენტაცია გაიმართა. ონლაინ-მუზეუმი აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით შექმნა.

აფხაზეთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზეა განთავსებული, ნაწილი კი საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებსა და საცავებშია დაცული. მათი ერთობლივად, ერთ სივრცეში წარმოსაჩენად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტა, ონლაინ მუზეუმების შექმნის საერთაშორისო პრაქტიკა გამოეყენებინა. შესაბამისად, ონლაინ-მუზეუმში თავი მოუყარა აფხაზეთის არქიტექტურის, ალექსანდრე შერვაშიძის სახელობის, აფხაზეთის თანამედროვე მხატვრების, არქეოლოგიისა და ხელნაწერების საგამოფენო დარბაზებს. ამ დარბაზებში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ხელნაწერთა

ეროვნული ცენტრის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მასალები. ონლაინ-მუზეუმი დამსწრეთ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსმა **ირაკლი გელენავამ** წარუდგინა.

ონლაინ-მუზეუმის მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ **ლევან ხარატიშვილმა,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვახტანგ ყოლბაიამ,** აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **ელგუჯა გვაზავამ,** აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა** და სხვ.

ასევე ითქვა, რომ პროგრამა განკუთვნილია სპეციალისტებისა და საკითხით დაინტერესებული მოქალაქეებისათვის. მისი გამოყენება, როგორც თვალსაჩინოებისა, შესაძლებელია საგანმანათლებლო სივრცის ნებისმიერ საფეხურზე, რადგან იგი ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის ვიზუალური სახისა და ისტორიის უკეთ აღქმასა და გააზრებას.

პრეზენტაციას აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, არასამთავრობო წრეების წარმომადგენლები, ამ თემატიკაზე მომუშავე მკვლევარები და სხვ. ესწრებოდნენ.

დანართი: იხ. ბმულით http://meca.gov.ge/vm/

აფხაზეთის საგუნდო კაპელა – საერთაშორისო ფესტივალებზე

ნატო კორსანტია

თბილისი, საგუნდო მუსიკის VII საერთაშორისო ფესტივალი

ახლახან თბილისის საგუნდო მუსიკის VII საერთაშორისო ფესტივალი წარმატებით დასრულდა. წლევანდელ ფესტივალში მონაწილეობდნენ საქართველოში არსებული აკადემიური და ბავშვთა გუნდები; ასევე, პროფესიული გუნდები უცხოეთიდან: ახალგაზრდული კამერული გუნდი „რაფსოდია“ მოლდოვადან და ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიის რუსული გუნდი, მათ შორის აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელა.

ფესტივალის მიზანია ქართული საგუნდო საშემსრულებლო ტრადაციების შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია; შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება უცხოეთის საგუნდო კოლექტივებთან და მათი შემოქმედების გაცნობა ქართველი მსმენელისთვის. ფესტივალი უკვე მეშვიდე წელია დიდი წარმატებით ტარდება. მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში თუ საგუნდო მუსიკის მოყვარულთა შორის.

„თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი“ 2011 წელს ხელოვნებათმცოდნე **მაია ჩაჩავას** ინიციატივით დაარსდა. მაია ჩაჩავასავე თქმით, „ფესტივალმა საერთაშორისო მასშტაბი მალევე შეიძინა. ფესტივალი ძალიან მნიშვნელოვანია იმით, რომ ჩამოდის უცხოელი მსმენელი და ისმენს ჩვენს ქართულ გუნდებს. ბოლო წლებში კლასიკურმა მუსიკამ საქართველოში წინ წაიწია, უამრავი გუნდი შეიქმნა და უამრავი კომპოზიტორი გაჩნდა ნიკო სულხანიშვილიდან დაწყებული დღემდე“.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია ქორმაისტერი – არჩილ უშვერიძე. თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ფესტივალი ყოველწლიურად, გაზაფხულზე იმართება. მისი პარტნიორი და თანაორგანიზატორია საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი, ნოკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე უკვე საკმაოდ აღიარებული აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა ამ ფესტივალის ყოველწლიური მონაწილეა. წლეულს აფხაზეთის კაპელამ საგუნდო მუსიკის VII საერთაშორისო ფესტივალზე გამოსვლა კაპელის დამფუძნებლის, მაესტრო გურამ ყურაშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

ზვიად ბოლქვაძე, აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო კაპელას სამხატვრო ხელმძღვანელი:

- მიხარია, რომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მუსიკალური ჟანრი გარკვეულწილად გამოცოცხლდა საქართველოში. ეწყობა საგუნდო ფესტივალი, ასევე, საგუნდო კონკურსები და ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა. ასეთ სერიოზულ ფესტივალში გუნდი ჩემთან ერთად პირველად მონაწილეობდა და მე თუ გუნდის თითოეულმა წევრმა შესაძლებლობის მაქსიმუმი ჩავდეთ აქ გამოსვლაში. ამისთვის მინდა თითოეულ მათგანს მადლობა ვუთხრა. წლევანდელ ფესტივალზე ჩვენი გამოსვლა მივუძღვენით ბატონ გურამ ყურაშვილის ხსოვნას. ის თითქოს ჩემთან ერთად დირიჟორობდა, ჩემს გვერდით იდგა და დიდი მადლობა მინდა მას ვუთხრა ყველაფრისთვის, იმ ღვაწლისთვის, რაც ამ კაპელისთვის გასწია.

კაპელამ ფესტივალზე შეასრულა ორი ნაწარმოები: გოგი ჩლაიძის „სალაღობო“ (რომელიც კომპოზიტორმა საგანგებოდ აფხაზეთის კაპელისთვის შექმნა) და მარტინ ლაურიდსენის „O Magnum Mysterium“.

ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ კონცერტზე, რომელშიც აფხაზეთის კაპელა მონაწილეობდა, საგანგებოდ მოიწვიეს გურამ ყურაშვილის ოჯახის წევრები და მათ მაესტრო გურამ ყურაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად დაწესებული ჯილდო: „თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის“ საპატიო სიგელი „საგუნდო მუსიკის განვითარებაში გამორჩეული წვლილისათვის“ და მედალი „განსაკუთრებული ღვაწლისთვის“ გადასცეს.

ამასთან დაკავშირებით **მაია ჩაჩავამ,** თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის დამფუძნებელმა და დირექტორმა აღნიშნა:

- საქართველოს ჰყავდა არაჩვეულებრივი მუსიკოსი, ბრწყინვალე ადამიანი გურამ ყურაშვილი, რომელმაც დააფუძნა ძალიან კარგი გუნდი - აფხაზეთის კაპელა. შარშან ზუსტად ამ დროს გარდაიცვალა ბატონი გურამი. ფესტივალის ორგანიზატორებმა გადავწყვიტეთ, რომ ის სიკვდილის შემდეგ საპატიო სიგელით და მედლით „განსაკუთრებული ღვაწლისათვის“ დაგვეჯილდოვებინა. მისი სახელი დაუვიწყარი იქნება ქართულ საგუნდო მუსიკაში.

ირაკლი ყურაშვილმა, გურამ ყურაშვილის შვილმა აღფრთოვანება გამოთქვა სასიამოვნო საღამოსთვის და დიდი მადლობა გადაუხადა ფესტივალის ორგანიზატორებს გურამ ყურაშვილის დაფასებისათვის.

„თბილისის საგუნდო მუსიკის VII საერთაშორისო ფესტივალი“ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საზეიმოდ დაიხურა. ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით შესრულდა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის – ოთარ თაქთაქიშვილის ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ სოლისტების, შერეული გუნდის, ვაჟთა ოქტეტისა და ორკესტრისათვის.

პოლონეთი, ქ. ლუბლინის პარტნიორი ქალაქების III საერთაშორისო საგუნდო ფესტივალი

აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელა ამ დღეებში ასევე წარმატებით გამოვიდა პოლონეთში, ქ. ლუბლინის პარტნიორი ქალაქების III საერთაშორისო საგუნდო ფესტივალზე. აღმოსავლეთ პოლონეთის ქ. ლუბლინი წარმოადგენს პოლონეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ, საგანმანათლებლო, ტურისტულ ცენტრს. წლეულს ქალაქ ლუბლინს დაარსებიდან 700 წელი შეუსრულდა და ფესტივალიც ამ თარიღს მიეძღვნა.

აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა ფესტივალში მონაწილეობისთვის პოლონურმა მხარემ საგანგებოდ შეარჩია. კაპელის გამგზავრება შესაძლებელი გახდა ქ. თბილისის მერიის დაფინანსებითა და აფხაზეთის ა/რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანადაფინანსებით.

ფესტივალი ლუბლინში 2013 და 2015 წლებში გაიმართა და ქალაქის მაცხოვრებლებში დიდი ინტერესი გამოიწვია. მან საფუძველი ჩაუყარა მუსიკალურ ჯგუფებსა და მათ პარტნიორ ქალაქებს შორის დამეგობრებას. ის ქ. ლუბლინის მერიის ორგანიზებითა და ქ. ლუბლინის მარი სკლოდოვსკა-კიურის უნივერსიტეტის გუნდის თანადგომით იმართება ხოლმე.

წლეულს ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა კონცერტები საქართველოდან, გერმანიიდან, იტალიიდან, უკრაინიდან ჩამოსული ქ. ლუბლინის პარტნიორი ქალაქების გუნდებისა, თვით ქ. ლუბლინის მარი სკლოდოვსკა-კიურის უნივერსიტეტის გუნდისა და ფილარმონიის ორკესტრის მონაწილეობით.

აფხაზეთის საგუნდო კაპელამ ფესტივალზე, კაპელას სამხატვრო ხელმძღვანელის ზვიად ბოლქვაძის დირიჟორობით, ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებები ტრადიციულად შთამბეჭდავად შეასრულა.

სოხუმის დრამატულმა თეატრმა ახალსახლობა იზეიმა

ნატო კორსანტია

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ახალსახლობა იზეიმა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ სოხუმის თეატრს აფხაზეთში დაბრუნებამდე, საკუთრებაში ოფისი და სარეპეტიციო დარბაზი გადასცა. უჭეროდ დარჩენილმა თეატრმა, 24 წლიანი დევნილობის შემდეგ, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს შენობაში დაიდო ბინა. ამ მოვლენის აღსანიშნავად თეატრის ახალი ოფისისა და სარეპეტიციო დარბაზის პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია,** საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე **მანანა ბერიკაშვილი,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი **დიმიტრი ჯაიანი,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, თეატრმცოდნეები, თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები, რეჟისორები და მსახიობები დაესწრნენ. სტუმრებს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **დავით საყვარელიძე** და მთელი დასი მასპინძლობდა.

ახალსახლობასთან დაკავშირებით კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ძვირფასო მეგობრებო, მას შემდეგ რაც ჩვენმა დასმა 1993 წელს იძულებით დატოვა სოხუმი, თბილისში დაიწყო მოღვაწეობა. 9 წლის განმავლობაში შეგვიფარა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმღვანელმა რობერტ სტურუამ და თეატრის დირექტორმა გია თევზაძემ. შემდეგ რამდენიმე წელი მარჯანიშვილის თეატრმა მიგვიღო. ლევან წულაძემ და ეკა მაზმიშვილმა საოცარი მასპინძლობა გაგვიწია. ამის მერე სამეფო უბნის თეატრმა გამოგვიწოდა დახმარების ხელი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მერაბ და ნიკა თავაძეებს. შემდეგ ავთო ვარსიმაშვილმა შეგვიკედლა თავისუფალ თეატრში. 2013 წლიდან ირაკლი გოგიამ გაგვიღო ახმეტელის თეატრის კარი, სადაც დღემდე ვმართავთ წარმოდგენებს. უღრმესი მადლობა თითოეულ მათგანს ასეთი მხარდაჭერისთვის!

მიუხედავად ასეთი მეგობრებისა და თანადგომისა, დაგვეთანხმებით თეატრის სრულფასოვანი მუშაობისთვის საჭიროა საკუთარი ბინა, შენობა, სადაც თეატრი უფრო ნაყოფიერად შეძლებს საქმიანობის წარმართვას. უნდა ვაღიაროთ, რომ 1993 წლიდან ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოახერხა სოხუმის თეატრისთვის თუნდაც პატარა თავშესაფარის გამონახვა.

დღეს კი სასიხარულო ამბავი გვაქვს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ გადმოგვცა სარეპეტიციო და საოფისე ფართი. როგორც იქნა, თეატრმა საკუთარი ბინა შეიძინა. დევნილობაში მყოფი თეატრისთვის ეს დიდი საჩუქარია.

დამეთანხმებით, დღეს დევნილთა პრობლემები ყველაზე აქტუალური პოლიტიკური პრობლემებია მსოფლიოში. ამ საკითხებზე ევროპის და მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობენ. ჩვენც დავიწყეთ ამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. საკუთარი შენობის, მისამართის მოპოვება ერთ-ერთი ფუნდამეტური ნაბიჯია განვითარების გზაზე.

გვინდა პირადად დიდი მადლობა გადავუხადოთ დიმა ჯაიანს, რომელმაც გადაარჩინა სოხუმის გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრი გაქრობისგან და ახალი შენობის გადმოცემაში მთავარი როლი შეასრულა. აქვე გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ ვახტანგ ყოლბაიას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი სატკივარი და ეს დიდებული საქმე დააგვირგვინა“.

სოხუმის თეატრი ამიერიდან საკუთარ შენობაში გააგრძელებს საქმიანობას, თუმცა საკუთარი დარბაზი, სადაც ის სპექტაკლებს გამართავს, კვლავაც მომავლის პრობლემად რჩება.

ახალსახლობას პრემიერა მოჰყვა

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მარჯანიშვილის თეატრის სხვენზე მარტინ მაკდონახის „ობოლი დასავლეთის“ მიხედვით ზურაბ სამადაშვილის მიერ დაწერილი პიესა „ნაბუშრები“ წამოადგინა. სპეტაკლის რეჟისორია გიორგი ქანთარია, მხატვარი არჩილ მაისურაძე.

სპექტაკლში გამოყენებულია ამერიკელი აბორიგენების (ინდიელების) ფოლკლორი, ვ. ვისოცკის და „System of down“-ის მუსიკა.

მოქმედნი პირნი და შემსრულებელნი: მამა იობი - **დიმიტრი ჯაიანი,** საქართველოს სახალხო არტისტი; ბელო - **მერაბ ყოლბაია;** ტახო - **ბადრი ბეგალიშვილი;** ქეთი - **ვერიკო კალანდია.**

რეჟისორ **გიორგი ქანთარიას** განმარტებით, „მარტინ მაკდონახის „ობოლი დასავლეთის“ მიხედვით დაწერილი ზურაბ სამადაშვილის პიესა „ობლები“, შავი კომედიაა. იგი გაჯერებულია მსუბუქი იუმორით და დღევანდელ ქართულ რეალობასაც ასახავს.

თანამედროვე იგავი მოგვითხრობს ქალაქის გარეუბანში მცხოვრებ და გამუდმებით ერთმანეთში მოჩხუბარ ორ ძმაზე. უბნის ეკლესიის მსახური მამა იობი ხშირად არის ძმებთან და მუდამ მათ შერიგებას ცდილობს, ვიდრე ერთ-ერთი ჩხუბისას არ გაიგებს, რომ ერთ ძმას საკუთარი მამა ჰყავს მოკლული, ხოლო მეორე ამ ამბავს ძმის ქონების ხელში ჩაგდების მიზნით არ ამხელს. მამა იობი ვეღარ უძლებს ამდენი ცოდვის ყურებას. ისედაც მთელი უბანი ცოდვებშია ჩაძირული, „ძმები ერთმანეთს სასიკვდილოდ იმეტებენ, გოგოები სპირტით ვაჭრობენ, ორი კაცის მკვლელი კი არხეინად დაიარება ქუჩაში“. და გადაწყვეტს, რწმენის მაგალითი აჩვენოს ხალხს და წყალზე გავლას შეეცდება, მაგრამ უშედეგოდ. ის იხრჩობა. თუმცა ამბობენ, რომ მან წყალზე ორი ნაბიჯის გადადგმა შეძლო. ამ ამბის შემდეგ, ძმები გადაწყვეტენ მამა იობის დანაბარების თანახმად, ყველა წყენა და დანაშაული მოუყვნენ და მიუტევონ ერთმანეთს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ურთიერთაღსარებაც სისხლისმღვრელ ბრძოლად გადაიქცევა“.



პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის ხელშეწყობით.

პრემიერის შემდეგ პუბლიცისტმა, პროფესორმა **იოსებ ჭუმბურიძემ** აღნიშნა:

„სპექტაკლი ყოველმხრივ გამართულია - დრამატურგიულად, რეჟისორულად, აქტიორულად.

ნამდვილად მოიხიბლებით დიმიტრი ჯაიანის (მამა იობი) აქამდე უცნობი არტისტული ფერებით, სიდინჯითა და მოთოკილი ემოციით, მერაბ ყოლბაიას (ბელო) სრული გარდასახვით, ბადრი ბეგალიშვილის (ტახო) იშვიათი ბუნებრიობით, იმითაც, თუ როგორ უბამს მხარს გამოცდილ არტისტებს სრულიად ახალგაზრდა ვერიკო კალანდია.

სულ ოთხი პერსონაჟია - ორი ძმა, ერთი ქალი და მღვდელი. ძმები ობლები ნამდვილად არიან, მაგრამ ნაბუშრებად რატომ მოიხსენიებენ, გაუგებარია.

ამბავი, რომელიც სცენაზე თამაშდება, უაღრესად მწვავე და დრამატულია. ძმები ისე ჩხუბობენ, მღვდელიც ვერ აშველებთ. მამა იობს იქით ახსენებენ უწინდელ ჯიბგირობას და აწინდელ ლოთობას.

ირკვევა, რომ ერთ-ერთ ძმას მამა შეგნებულად მოუკლავს და არა შემთხვევით. მამა იობისთვის ეს თავზარდამცემია.

ამ ფონზე დიმიტრი ჯაიანმა უნდა განასახიეროს მღვდელი, რომელსაც ყველაფრის მიუხედავად სჯერა, რომ რწმენას მართლა შეუძლია, ადამიანი წყალზე გაატაროს. ამას საკუთარ თავზე გამოცდის, რასაც შეეწირება, სამაგიეროდ, მისი საქციელი ძმებს შეარიგებს.

დიმიტრი ჯაიანი ამ ყოველივეს შესაშური დამაჯერებლობით წარმოგვიდგენს. ეს სპექტაკლი უდავო წარმატებად უნდა ჩაეთვალოს სოხუმის თეატრს და ახალგაზრდა რეჟისორს გიორგი ქანთარიას.“

გენო კალანდიას ხსოვნას!

აფხაზეთში დამბჩენებელთა ჩიცხვს გამოაკლდა კიდევ ერთი ლიხსეული ადამიანი - გენო კალანდია, ქარიზმატული და განსაკუთრებული ხიბლის მქონე პიროვნება, რომელსაც ერთდროულად დაჰყვებოდა საქართველოს ორი ძირძველი კუთხის - აფხაზეთისა და სამეგრელოს სულნელი.

გენო კალანდია იყო გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების laureატი, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე... თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებული იყო ლიხების ორდენით.

გენო კალანდია 30-მდე პოეტური კრებულისა და დრამატული პიესის ავტორია. მისი ლექსები თარგმნილია და ცალკე წიგნებად არის გამოცემული რამდენიმე ენაზე. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გამოვიდა გენო კალანდიას „საგალობლების“ ორტომეული, რომელიც სრულიად ახალ მწვერვალს, „სიმაღლით ნარმოჩენილ ახალ სიმაღლეს“ ნარმოადგენს მის შემოქმედებაში. „საგალობლებით უფლისადმი“ პოეტმა თითქოს უფალთან გარდასვლის მოახლოება იგრძნო და მთელი გულისყური მისკენ მიაპყრო, თითქმის ყოველდღე აღსარებას აბარებდა თვით უფალს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად შემზადებული გადავიდა ზეციერ საქართველოში.

მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა!

სიტყვით - მგალობელი

საქართველოს დააკლდა მამულიშვილი, პოეზიას პოეტი!

აზროვნებას მოაზროვნე!

პოეზია, ზოგადად, მგზავრობაა მარადისობაში, უფრო სწორად კი, მოგზაურობა.

დიახ, გენო კალანდიამ დაიწყო ეს მგზავრობა აქ – დედამიწაზე და გააგრძელა ზესთასოფლიურ აწ-უკვე მარადისობაში. საქართველო იყო მისი სუნთქვა, სამეგრელო – გული, აფხაზეთი – ნაღველი. დიახ, ნაღველი, რადგან, პოეტმა, საკუთარ თავზე იწვნია და გამოსცადა ყველა ის უბედურება, საშინელება და კაენის ზეიმი, რაც თან ახლავს ომს. გადმოიარა ჭუბერის უღელტეხილი, ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში და დიდი დანტეს „ჯოჯოხეთი“ სიცოცხლეშივე გაითავისა. ომის შემდეგ დიდხანს დუმდა მისი კალამი და ეს დუმილიც გახმოვანდა მის შემოქმედებაში, როგორც ხსნა, იმედი, უფრო მართლად – იმედის გარდამოხსნა. და ის მივიდა უფლამდე სწორედ „უფლის საგალობლებით“, ან, რწმენის ჯაჭვითა თუ ეკლის კანდელით. ძნელია, რა თქმა უნდა, გენო კალანდიაზე წარსულში საუბარი, რადგან ის სიცოცხლეს ჩუქნიდა არა მარტო პოეზიას, მის გარეშემო მყოფთ, მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავებს. ყველას ახარებდა და ახალისებდა. და, თურმე, ამასობაში, სანთელივით ილეოდა. მის სადარბაზოში, მესამე სართულზე, სწორედ გენო კალანდიას საცხოვრისის კარებს მაღლა, მერცხალს ბუდე გაეკეთებინა და, ალბათ, სახლობდა კიდეც. როგორ მოახერხა დახურულ, თანამედროვე ბინის რკინისკარიან სადარბაზოში ამ მართლა სასწაულის შექმნა, საკვირველების ტოლფასია. იქნებ ის მერცხალიც პოეტია და ალბათ გამოჩნდება კიდეც... პოეტის სული დახვდება ზეცაში - ლექსებით მეტყველი და პოეზიით ასანთლებული. და საერთოდაც, ლექსს ბევრი წერს, პოეზიას ქმნიან ერთეულები. გენო კალანდია ამ ერთეულთა ანუ რჩეულთა რიგის ღირსეული წევრი იყო, მეციხოვნეც, მეაბჯრეც და მადლის მტვირთველიც. დიახ, მარტოოდენ „ლექსი სამეგრელოზე“-ც იკმარებდა მისი პოეტური ღირსების უკვდავსაყოფად.

„სისხლივით ამიჯანყდები, სამეგრელოზე ფიქრო, მაცხოვრის დაბადებიდან გადაუშლელო წიგნო. ვაზივით გულდასეტყვილო, ჯვარზე გაკრულო ნებით, ხვალ მშობლით შეგეხიდები, ზეგ საკუთარი ძვლებით... არც აკაკი ვარ, არც ვაჟა, არც მოციქული ზევსის, უბრალოდ, სიკვდილს ვაპირებ, სიკვდილს ვაპირებ შენთვის“. და თუ პოეზია უკვდავებაა, მაშინ არც აღსასრულია დასასრული და, პირიქით, არც დასასრულია აღსასრული... რადგან, ყოველივე სიცოცხლესა და მარადიულობას ემსახურება. ყოველივე, მაინც, გზა და მგზავრობაა - პოეზიიდან პოეზიისაკენ! „პირველ იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა...“ „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“... და შეუერთდა ისევ სიტყვას - სიტყვის კიდევ ერთი მსახური...

და მართლაც-რომ „შეუცნობელნი არიან გზანი უფლისანი...“

თემურ შავლაძე

სიტყვით ვერაფერს შემატებ

იმით დავიწყებ, რომ გენო კალანდია იყო ჩემი მეგობარი, ერთგული მეგობარი. ვიდრე მის პოეზიაზე ვიტყოდე ორიოდე სიტყვას, აღვნიშნავ, რომ გენო იყო ნამდვილი პატრიოტი და ის თვისებები, რაც ნამდვილ პატრიოტს ახასიათებს, მას ჭარბად ჰქონდა. ის განეკუთვნებოდა იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს, რომელიც დღედაღამ სამშობლოზე, აფხაზეთზე ფიქრობდა, კონიუნქტურისგან იყო დაცლილი და ამიტომაცაა ფასეული მისი განცდა, როგორც სამშობლოს ბედზე მოფიქრალი კაცისა.

ქართული პოეზია გენო კალანდიას პოეზიის გარეშე წარმოუდგენელია. მისი პოეზიისთვის დამახასიათებელია მდიდარი პოეტური ხატებები, პოეტური, ლექსიკა, სიტყვის მარაგი, მამაკაცური განცდა და ვნება.

გარდაცვლილებზე უკეთესად ვლაპარაკობთ ხოლმე, ვიდრე ცოცხლებზე. გენო კალანდიას ეს არ სჭირდება. სიტყვის თქმით თუ არ დააკლებ, ვერაფერს შემატებ მას.

მე ის ყოველთვის მემახსოვრება, ვიდრე ცოცხალი ვარ.

ჩვენ ყოველთვის ერთად ვიდექით და კვლავაც ერთად ვართ!

ძალიან მიყვარდა!

ნათელში იყოს მისი სული!

რეზო ამაშუკელი

მან გული საქართველოს გაერთიანებას შეახია!

ასეთი რამ გავიგე, ამ საუფლოში, ამ საოცარ სიონის ტაძარში სამოქალაქო პანაშვიდი იშვიათად სრულდება თურმე. პასუხად გონებაში ამომიტივტივდა გენო კალანდიას ბოლო საოცარი ორტომეული „საგალობლები უფლისათვის“. მან თითქოს წინასწარ განსაზღვრაო, თუმცა ძალიან უნდოდა დიდხანს ეცოცხლა, საიდან გაასვენებდნენ და სად დაკრძალავდნენ. გენო კალანდიას ერთი ლექსი გამახსენდა და მის ფინალს წაგიკითხავთ. ლექსი ტიციან ტაბიძის ხსოვნას ეძღვნება:

„უყვარდა ფშავის ორი არაგვი
და გარდაცვლილი მამის ცხონება
და შეახია ორაგულივით
ათი გირვანქა გული ცხოვრებას!“

დიახ, გენო კალანდიამ თავისი გული საქართველოს გაერთიანებას შეახია!

გენო კალანდიამ იმ აფხაზ პოეტებს, რომლებიც დღესაც მოღვაწეობენ, თავისი უანგარო, გვერდში კაცური დგომით სიყვარული და თანადგომა არაერთხელ დაუდასტურა. არასდროს დამავიწყდება, პოეტი ბორის გურგულია, რომელიც ომის დროს ეშერის ხიდზე გადმოვიდა... და მერე როგორ მოძებნა მან გენო კალანდია და როგორ აპოვნინა გენომ გარდაცვლილი შვილი!

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, გენო კალანდიას კიდევ ერთი ლექსის ფინალს შეგახსენებთ. ლექსს ჰქვია: „სიმღერა სამეგრელოზე“. მე გავბედავდი და ასე ვიტყოდი, ესე იგი, „სიმღერა საქართველოზე“.

„არც აკაკი ვარ,
არც ვაჟა,
არც მოციქული ზევსის,
უბრალოდ, სიკვდილს ვაპირებ,
სიკვდილს ვაპირებ შენთვის!..“

აუხდა კიდევაც!

„მშვიდობით, ძმაო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!“

დიმიტრი ჯაიანი

გულის ხმით მოტანილი პოეზია...

როცა გენო კალანდიაზე, მის პოეზიაზე ფიქრობ, აღსანიშნავი მრავლადაა, მაგრამ ის ზუსტი და ზომიერი აქცენტები, რომელსაც, სწორად აღქმის შემთხვევაში, იმ ნიშნულამდე მიჰყავხარ, სადაც პოეტის სამყარო იწყება, ყველაზე საინტერესო და ემოციისმომგვრელია. ამ ზღვარზე დიდხანს ვერ ყოვნდები, რადგან იმპულსი გამოძრავებს და მოქმედება გარდაუვალია - სტრიქონ-სტრიქონ, სიტყვა-სიტყვა მიჰყვები პოეტს, გზადაგზა თითქოს ხელით ეხები (შეხების შეგრძნება აშკარაა!) წარმოსახვებს, ან სულაც ისე გადიხარ მათ შორის, როგორც ბურუსში და რაც მეტს ივლი, უფრო პოეზიას შეისრუტავ. საინტერესო კი ის არის, რომ ეს ყველაფერი შენთან რჩება და ხშირად ხვდები, რომ ეს შეგრძნება ითხოვს თავის ნაწილს, რომელიც მის წიგნებში განუსაზღვრელი საწყაულით არის გაშლილ-გაფანტული და გაცნობიერებული ლტოლვა მიგაბრუნებს სამყაროსკენ, რომლისკენაც სწრაფვა ბედისწერად გექცევა.

ყველას ხომ თავისებურად და... გენო კალანდიას გულის ხმით მოაქვს თავისი პოეზია! ალბათ ამიტომაც, თითქოს პულსი ესინჯება მის თითოეულ სტრიქონს, ინტენსივობა არ იძლევა მოდუნების საშუალებას და ხვდები, რომ პოეტის გულისცემას მუდმივად უნდა მიაყურადო, რადგან, ის არასოდეს არის მონოტონური და ვინ იცის, რომელ სტრიქონს გაგიზიარებს სამუდამოდ და ხსნად აგეკვიატება...

ეპოქა გრძნობს თავის ადამიანებს და განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მათ ყოველი წამისა თუ წუთის მინიშნებით. ამიტომაც, გენო კალანდიას პოეზიაში მარადმედინი სამივე დრო აღნიშნულია და მე მეფიქრება, რომ მომავლისათვის მზადება უდავოა.

მანონ ბულისკერია

ჭაღარა რაინდი

მუდამ თვალწინ მიდგას ჩვენი პირველი გაცნობა. 1966 წლის სექტემბერში სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველკურსელს ზუგდიდის რაიონული გაზეთის („მებრძოლი“) რედაქტორმა, უკეთილშობილესმა პიროვნებამ ისაკ ქორთუამ წერილი გამატანა გენო კალანდიასთვის გადასაცემად, სადაც ითხოვდა, რომ ახალგაზრდა პოეტს სოხუმში მუდამ ყურადღების ცენტრში ვყოლოდი. ბატონი გენო მაშინ სოხუმის გაზეთში („კომუნისტური შრომა“) მუშაობდა ჯანო ჯანელიძესთან ერთად. რედაქციაში ვეახელი გენო კალანდიას და წერილიც გადავეცი. მან გულში ჩამიხუტა, მომეფერა, თან დაამატა: დედაჩემი შენი სოფლიდან - კახათიდან არის. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელიც 50 წელზე მეტხანს გაგრძელდა. პირადად მე გენო კალანდიას სახით დავკარგე არა მხოლოდ დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, არამედ საიმედო ძმა და მეგობარი.

გენო კალანდია სიამოვნებით იგონებდა სიჭაბუკეში მოსკოვში გატარებულ წლებს, რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია მისი, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის ჩამოყალიბებაზე. მოსკოვში მყოფი ახალგაზრდა პოეტი დაკავშირებული იყო ე.წ „რუსეთის ახლგაზრდა გენიოსების“ ჯგუფთან. ესენი გახლდათ: ლ. გუბანოვი, ი. კუბლანოვსკი, ვ. ალეინიკოვი, ა. პახომოვი. ამასთანავე, გენო კალანდია მეგობრობდა ანტისაბჭოურად განწყობილ რუს მწერლებთან: გ. საპგირი, ი. ვოროშილოვი, ი. ხოლინი, ე. რეინი, ი. ბროდსკი, ნ. კუბლანოვსკაია, ე. კოზოვოი, ს. ლიონი, ე. ლიმონოვი, ხ. სტერინი, ა. ბასილოვა, ა. სუდეიკინი.

დასახელებული რუსი ხელოვანნი ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში, სოხუმში ძმები კალანდიების სტუმრები იყვნენ. თარგმნიდნენ გალაკტიონის, ტიციანის, გრანელის და სხვა ქართველ ავტორთა ნაწარმოებებს. ისინი სამაგალითო შთაბეჭდილებებით ბრუნდებოდნენ სამშობლოში. ბევრი მათგანი გადაასახლეს საბჭოთა კავშირიდან, ბევრი თავისი სურვილით ემიგრაციაში წავიდა. გენო კალანდიას ბიოგრაფიიდან ამ ფაქტებზე აქცენტის გაკეთებას ის გამართლება აქვს, რომ იმჟამად ეს ყველაფერი გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. თუმცა ამას ჩვენი გენო და რენე არ უშინდებოდნენ, აკეთებდნენ იმას, რასაც სულის თავისუფლება კარნახობდა.

გენო კალანდიამ უნიკალური პოეტური წიგნები დაუტოვა საქართველოს, შთამომავლობას, ქართულ პოეტურ კულტურას. ამ წიგნებში მიმზიდველად აღბეჭდილია შინაარსისა და ფორმის ჰარმონია, ევრიტმია, პოეტური ნიჭის მრავალსახეობა, სულიერ-ინტელექტუალური თვალსაწიერი; რთული ლიტერატურული წიაღსვლები და რემინისცენციები; ფილოსოფიური ელემენტების გახსნა უჩვეულო მხატვრულ წარმოსახვებში, ფერისა და მუსიკის ერთობლიობა; რომანტიკული პათოსი, მზის, სიცოცხლის, გაზაფხულის სიყვარული თუ ეგზისტენციალური ფანტასმაგორიები; ესქატოლოგიის ბინდიდან სოტერიოლოგიის სინათლეზე გასვლა, მხატვრული სიტყვის ესთეტიზირებული მადლის ხიბლი; სახისმეტყველებითი ხელწერის განუმეორებლობა; ქართული და უცხოური ლექსების ფორმათა ოსტატური ფლობა, როგორც საფუძველი ინოვაციურობისა თუ ფორმალისტური ძიებებისა. ასევე ხაზგასმით გამოვყოფთ მეტაფორების ფეიერვერკს, მისტიკურ-მისტერიულ ფონს, მითოლოგიური აზროვნებისკენ მიზანმიმართულ ლტოლვას, ეროვნული ტრადიციების რომანტიკულ განცდას, ფერწერის ესთეტიკას და ა. შ.

გენო კალანდია არასოდეს ყოფილა „კაბინეტის პოეტი“. თავისი ბობოქარი ენერგიით მუდამ ხალხში ტრიალებდა. გამოირჩეოდა ქართველი და აფხაზი საზოგადოების თუ ინტელიგენციის აქტიური წევრობით.

მიჭირს გენო კალანდიას გარდაცვალებაზე საუბარი, დღემდე ვერ ვეგუები იმ ფაქტს, რომ ეს უბრწყინვალესი პოეტი და შესანიშნავი ადამიანი, მართლაც, ჭაღარა რაინდი ჩვენს შორის აღარ არის. ნათქვამია: უკვდავების პირველი პირობა სიკვდილია. კიდევ საკმაო ხანი დაეცადა იმ ავადსახსენებელ სიკვდილს, რათა ჩვენს დიდ პოეტს დაცლოდა ისეთი საგალობლების აღვლენა, როგორიც მან ბოლო წლებში „საგალობელი უფლისათვის“ სახით შექმნა.

ტიტე მოსია

ბიჭი – „ქართულ ემბაზში განათლული ნიჭით“...

იოსებ ჭუმბურიძე

არც გერონტი ქიქოძე ვარ და არც გურამ ასათიანი.

მაინც უნდა დამიჯეროთ და დაიხსომოთ:

2017 წლის 25 აპრილი, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, კიდევ ერთი განსაკუთრებული თარიღია ქართული პოეზიის ისტორიაში:

ქართული პოეტური ცის კაბადონზე გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი, რომელსაც სიკაშკაშე, ყველა პირობითა და ლოგიკით, დღითიდღე უნდა გაუძლიერდეს.

***

ლიტერატურის ინსტიტუტი.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მორიგი სამშაბათობა.

გიორგი ესებუას პირველი პოეტური კრებულის („წინათგრძნობა“) განხილვა.

20 წლის ბიჭის სადებიუტო წიგნს სამი წერილი ახლავს: ნატა ვარადას წინასიტყვაობა; მარინე ტურავასა და იოსებ ჭუმბურიძის ბოლოთქმანი.

რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე, ურომლისოდაც მთლიანი შინაგანი კომპოზიციითა და ევროპული იერით გამორჩეული ეს წიგნი ჩვენამდე ამ სახით ვერ მოვიდოდა...

***

როსტომ ჩხეიძის შესავალი სიტყვა.

სალომე კაპანაძის მოხსენება.

შემდეგ გამოსვლები: ნატო კორსანტია - ვინც გიორგის ლექსები პირველმა გამოაქვეყნა (გაზეთი „ჩემი აფხაზეთი“);

ეთერ ქაჯაია, ნანა ჩიჩუა, მაია მირესაშვილი, ნინო ვახანია, მარინე ტურავა, იოსებ ჭუმბურიძე...

გიორგის თანატოლი სტუდენტები - ორი მარიამი, შენგელია და ღუბელაძე.

და მთავარი „დამნაშავე“ - ნანა კუცია, გიორგის მასწავლებელი და დამკვალიანებელი, ვის დამსახურებასაც, ასოციაციურად, სოლომონ დოდაშვილთან მივყავართ, რადგან პოეტურ ნიჭს სამშობლოს განცდა გასაკვირველი, შესაძლოა, თავისთავად არ დაემგზავროს...



***

ამდენი წერილი, ამდენი მწერლის, პუბლიცისტისა თუ პროფესორის გამოსვლა და მაინც იმის განცდა, რომ კიდევ ბევრი რამ დარჩა აღუნიშნავი.

განა ამდენს რას იტევს ეს პატარა წიგნი, რომელშიც სულ 47 ლექსია?

თუმცა რა გვიკვირს?! - ბარათაშვილს ათით ნაკლები ჰქონდა.

ლადო ასათიანს?

***

ორი დიდი პოეტი ვახსენე.

ღრმად მჯერა: გიორგი ესებუას მიემატება ის, რაც მათ დააკლდათ, ხოლო ჩვენ მოგვემატება ის, რაც მათ დაგვაკლეს...

***

ხოლო თუ რატომ არის გიორგი ესებუა პოტენციურად დიდი პოეტი, ამის საბუთად რამდენიმე ლექსის ფრაგმენტს წარმოგიდგენთ.

აი, რას წერს აფხაზ თანატოლს:

„...სად იყუჟები ჩემს დიდ თეთრ სახლში,
რომელიც დაწვეს?!
(მეც მასთან ერთად-
დაბადებამდე)...
ნაბიჯების ჩქამი მახსოვს საფეხურებზე -
მონაყოლიდან...“

აი, რას ეუბნება მარიამ მაგდალელს:

„როცა იფიქრე, ყველაფერი უკვე დამთავრდა,
მოვიდა ღმერთი...
დად წაგიყვანა...
(მომიყევი, როგორი ძმაა)“...

აი, როგორ ატევს ხუთიოდე სტრიქონში „ჯაყოს ხიზნების“ უმწარეს სათქმელს:

„ნარცისს ადვილად ელევა კნეინა...
ნადირს ელის -
ღრჯუ, ბალნიან, მაძღარ ჯაყოს -
გაქონილი თითებიდან რომ ყველაფერი უსხლტება -
მარგოსა და ქართლის გარდა...

***

2017 წლის 25 აპრილი, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, კიდევ ერთი განსაკუთრებული თარიღია ქართული პოეზიის ისტორიაში... გამოჩნდა ბიჭი - „ქართულ ემბაზში განათლული ნიჭით“...

„იქ“ და „აქ“...

დაკარგული სამშობლოს ძიებაში

ნატო კორსანტია

გიორგი ესებუასა და მისი ლექსების აღმოჩენამ პოეზიის ბევრი მოყვარული და, მით უმეტეს, აფხაზეთზე მოფიქრალი ადამიანი განსაკუთრებულად გაახარა. ამისთვის უპირველესად, დიდი მადლობა ნანა კუციას, რომელმაც თავის დროზე ამ სიხარულის თანაზიარი გაგვხადა. და დიდი მადლობა ბატონ როსტომ ჩხეიძეს, რომელმაც ეს ღრმა და ფაქიზი ლექსები ერთ წიგნად შეკრა და მკითხველები კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქრით გაგვანებივრა.

მე არ ვაპირებ, გიორგი ესებუას პოეზიისთვის დამახასიათებელ პოეტურ ხატებებზე, ლექსიკაზე, სიტყვის მარაგზე... ვილაპარაკო, ამაზე პროფესიონალმა კრიტიკოსებმა შესანიშნავად თქვეს და კვლავაც იტყვიან. თუმცა ძალიან ბევრმა სტრიქონმა, შედარებამ, ასოციაციამ აღმაფრთოვანა, რაშიც თუნდაც ერთის მოხმობაც დაგარწმუნებთ:

„მარტს შეუძლია უსახური საღებავების წითლად დაფერვა და მქრქალ ბუშტებზე გადავლება ცისარტყელას საღებავების“...

„დაკარგული სამშობლოს ძიების“ მძაფრი განცდა, მსოფლიო ლიტერატურისთვის ძალიან მგრძნობიარე თემა, გიორგი ესებუას პოეზიის მთავარი თემაცაა.

ამ შემთხვევაში უპირველესად, ვგულისხმობ აფხაზეთს, რომელსაც გიორგი არსად ახსენებს. თუმცა, ისე კონკრეტიკის გარეშეც საცნაურია, რომ ლექსებს მას უძღვნის.

ლექსში „ხედი სარკმლიდან“ „იქ“ (აფხაზეთში) და „აქ“ (ენგურს გამოღმა) შორის განსხვავებას ორიოდე შტრიხით, ისე ოსტატურად გახაზავს, რომ ან რა საჭიროა სახელის (აფხაზეთი) ხსენება, ისედაც ყველაფერი ცხადია:

დასაწერია
„ხედი სარკმლიდან“ –
თავისუფალი
(არა ხედი, არამედ)
თემა...
სარკმლებზე ვფიქრობ...
ხედი ორია...
იქ სარკმელში
ზღვა იბრწყინებდა
და მირაჟები... მირაჟები...
აქ
სარკმელში
გარაჟები
მეხეთქებიან...
მტვერი არ ბრწყინავს
და თემას ვერ ვწერ...
ზეცა არ მწირავს
და ვხედავ ხედს -
მტრედებს - მტვერში...
„დაწერილია“...

„მტრედები - მტვერში...“ აქ ერთი მხრივ ხსნა აღმოჩნდა, მეორე მხრივ კი განსაცდელია...

„დაკარგული სამშობლოს ძიების“ თვალსაზრისით გიორგის ძალიან ფართო თვალსაწიერს არც იშხანი“ გამორჩა, რითაც შეკრა და გაამთლიანა თავისი და ზოგადად ჩვენი ქვეყნის სათქმელიც:

იშხნის გუმბათი - ჩაქცეული...
ხავსგადავლილი...
მე არ ვიცოდი, რა უნდა მეგრძნო -
ის ჩემი იყო
და აღარც იყო
და მაინც იყო...

გიორგის სურათებზე უმეტესწილად სათვალე უკეთია, მუქი ფერის სათვალე. ამის შემჩნევისას, უნებლიეთ, გავიფიქრე, შესაძლოა, ამ სათვალით მზეს კი არ ემალება, არამედ მასთან საიდუმლო მისტერიას უმალავს გარშემომყოფთ-მეთქი.

აბა, სხვა რა უნდა თქვა, იმდენი მზეა მის ლექსებში:

„ოთახში მზეა გიორგობისთვის“...
„გიორგობისთვის ქუფრმა ღრუბელმა მზე
წაიყვანა“...
„მზის მოგონებებს გამოერიდა“...
„მაღალ ღრუბლებში მზის შრიალს თუ
მიაყურადებს“...
„მზეც კი იღლება
თავისთვისაც სჭირდება სითბო“...
„კედლის ნაბზარში მზე გაიბრწყინებს“...
და ა. შ. და ა. შ.



შედარებისთვისაც მზეს მოიხმობს ხოლმე:

„აცვენილ პარკეტს ისევ ძველი ანათებს
რამპა,
მზესავით ძველი“...
„მზის თაფლისფერ სხივებში ყუჩდება
და საბნებს კერავს მზისფერ ატლასის“...

გზადაგზა თითქოს ყურს კი არა, თვალს გჭრის მზე.

მზით გასხივოსნებული წიგნი... გიორგი ესებუას ლექსების კრებულს ასეც შეიძლება დაარქვა. თითქოს დევნილებს გამოდევნებულმა აფხაზეთის მზემ „აქ“, გამოღმა ეს ახალგაზრდა კაცი მოძებნა და მის პოეზიაში დაივანაო...

„სახლის“ თემას გვერდს ვერც მე ავუქცევ. გიორგის ამ ლექსზე ყურადღება პირველად იოსებ ჭუმბურიძემ გაამახვილა, თუმცა, მანამდე ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ გიორგის ლექსებს ეს ლექსი შეგნებულად ვუწინამძღვრე. შეიძლება, სუბიექტურიც ვიყავი, ჩემი წიგნის - „ჩემი სახლისა“ და ზოგადად, სახლისადმი მოურჩენელი ნოსტალგიის გამო.

...სად იყუჟები ჩემს დიდ, თეთრ სახლში,
რომელიც დაწვეს?!
(მეც, მასთან ერთად
დაბადებამდე)...
ნაბიჯების ჩქამი მახსოვს საფეხურებზე...
მონაყოლიდან...
სიზმრის სარკმლიდან შემოჭრილი ცხელი
სხივები...
რბილი ლოგინი, ალბათ, გჩუქნის საჩემო
სიზმრებს...

სახლი გიორგისთან კიდევ რამდენიმეგან, სხვა კონტექსტში, მაგრამ ნაცნობი სევდითა და სითბოთი გაიხმიანებს.

„ჩამოიქცევა ოდესმე სახლი მიტოვებული“...
„დრო დგება, როცა სახლმა
(არა უცხომ, შენმა საკუთარმა)
უნდა გიცნოს და მიგიღოს“...

გიორგი ესებუასთან სახლი მარადიულ სახლთანაც იგივდება, რომლის ძიებაც სამყაროსავით ძველია და მარად ახალი.

ამას წინათ მხატვარმა ამირან კუპრავამ ინტერვიუში მითხრა:

„ერთი სურათი დავხატე (სამწუხაროდ, გავყიდე) - ანგელოზს ავკიდე სამანის ქვა, რადგან ქვეყანა აღარ დაგვრჩა და სად დავდოთ, არ ვიცით. ჰოდა, იმ ანგელოზივით ზურგით დავატარებთ სამანის ქვას, რომელიც თითქოს ჩვენი სახლიცაა. ეს არის თითოეული ჩვენგანის ტვირთი“.

რატომღაც მაშინვე გიორგი გამახსენდა და გავიფიქრე, რომ ის ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ზურგით დაატარებს „სამანის ქვას“. მაგრამ გიორგი, ბევრისგან განსხვავებით, უცილობლად მიიტანს მას „იქამდე“... რადგან სწორედ ასეთ გულიან და საიმედო კაცებს ხელეწიფებათ ეს და ასეთი გულიანი და საიმედო კაცებისთვის უცილობლად დგება დრო,

... როცა სახლმა
(არა უცხომ, შენმა საკუთარმა)
უნდა გიცნოს და მიგიღოს“...

ის, რაც ხელოვნებას ხელეწიფება...

მედეა ზუხბაია

„საქართველო უაფხაზეთოდ არაფერია და აფხაზეთი - უსაქართველოდ“, - წერდა აფხაზი მწერალი გიორგი შარვაშიძე. სწორედ ამ მრწამსს ერთგულებს აფხაზი ქალბატონი სვეტლანა ქეცბაც. მას სჯერა, რომ ადამიანი ბედნიერი მხოლოდ მშობლიურ კუთხეში და სანახებშია, სადაც მისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ულამაზესმა წლებმა გაირბინა. ასეთი ადგილი მისთვის აფხაზეთია, სადაც ქართველი და აფხაზი ერთად ქმნიდა საერთო ისტორიასა და ფასეულობებს.

სვეტლანა ქეცბა, როგორც თავისი ერისა და კულტურის ერთ-ერთი მოამაგეთაგანი, დევნილობამდე და მის შემდეგ იყო სოხუმის სამუსიკო სკოლისა და სასწავლებლის დირექტორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი და კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე.

სვეტლანა ქეცბა ამჟამად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ძალისხმევით შექმნილი აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარეა და ორ მოძმე ერს შორის მშვიდობის აღსადგენად იღვწის. ცენტრის მიერ მოწყობილ შემოქმედებით საღამოებსა და შეხვედრებს კი როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მოღვაწე საერთაშორისო დონის მუსიკოსები, პოლიტიკოსები და მეცნიერები სტუმრობენ. ამ მნიშვნელოვანი მისიისთვის ის წლების წინათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვეს.

ახლახან სვეტლანა ქეცბამ გამოსცა თავისი წერილების კრებული „გულის სახსოვარი“, რომელშიც დიდი ხნის დაგუბებულ სატკივარ-საფიქრალს მოუყარა თავი. მისი მთავარი სატკივარი აქაც ქართველებისა და აფხაზების დანგრეული ურთიერთობაა.

წიგნში თანდათან ცოცხლდება დაუვიწყარი სახეები იმ ადამიანებისა, რომლებიც აფხაზეთში თუ აფხაზეთთან ურთიერთობით უდიდეს კულტურულ-შემოქმედებით ისტორიას ქმნიდნენ. ოდისეი დიმიტრიადი, ანდრია ბალანჩივაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, გივი ორჯონიკიძე... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... ცოცხლდება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე გამოჩენილი ხელოვანების სახეები. კითხულობ და გრძნობ, რაოდენ ძვირფასი ურთიერთობები და ტრადიციები დაანგრია ომმა. წიგნის ავტორის გულს კი დაუვიწყარ სახსოვრად შემორჩენია უამრავი ეპიზოდი ქართველი, აფხაზი, აზერბაიჯანელი, რუსი თუ სხვა ეროვნების ადამიანთა ოდინდელი ერთიანობისა. მისი თქმით, ვერაფერს ძალუძს ჩააქროს გულის სახსოვარი, გაანადგუროს მადლიერება იმ საუკეთესო წლებისა, რომელიც ცხოვრებას გვილამაზებს და გვიმდიდრებს.

კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სვეტლანა ქეცბას განსაკუთრებულ დამოკიდებულებას უმაღლეს სასულიერო პირებთან. „დილით სასწაულის მოლოდინში გავიღვიძე... დარეკა მობილურმა, - იხსენებს ავტორი, - თქვენ დაგელაპარაკებათ უწმიდესი“... პატრიარქი გურიიდან რეკავდა. „უწმიდესს მთელი ღამე უფიქრია იმაზე, როგორ გაელამაზებინა ადამიანის ცხოვრება, - წერს თავის მოგონებებში ქალბატონი სვეტლანა - შესწევს თუ არა ძალა სილამაზეს შეცვალოს სამყარო, შეეხოს ადამიანის სულის უხილავ სიმებს. უფიქრია შექმნილიყო წიგნი, რომელშიც მისი თანამემამულეები გაგვაცნობდნენ მშვენიერების საკუთარ ხედვას და ამით სტიმულს მისცემდნენ მათ ზიარებოდნენ ღვთაებრივ მადლს“. ასე შეიქმნა სვეტლანა ქეცბას კიდევ ერთი კრებული „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“.

რაოდენ აუცილებელი იყო ეს წიგნი თაობებისთვის, რომელთაც თვალით არ უნახავთ აფხაზეთი და არ იცნობენ იმ ადამიანებს, რომლებიც ქმნიდნენ აფხაზეთის ისტორიას. წიგნის ყოველი ბწკარის ქვეშ ასევე იკითხება დარდი და ფიქრი მშობლიურ სახლზე... „ვინ იცის, გახმა, თუ ისევ ყვავილობს ჩემი სახლის ღობეზე სუროსავით მოხვეული ვარდები?..“ - იტყვის კიდეც ერთგან.

კრებული „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“ სვეტლანა ქეცბას სულის სარკეა, მისი ტკივილი და მონატრება... მონატრება ლამაზი და შინაარსიანი შემოქმედებითი წარსულისა, რომელმაც ქართველისა და აფხაზის მომავალ ურთიერთობებზეც უცილობლად უნდა იქონიოს გავლენა... ქალბატონმა სვეტლანამ წიგნის ძირითადი სათქმელი აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვის სიტყვებით გამოხატა: „ხალხების ერთიანობა კულტურის სახელით შეიძლება გახდეს მათი შერიგების, თანხმობისა და აყვავების საწინდარი, ვინაიდან სწორედ კულტურა შეიცავს კაცობრიობის სულიერი გამოცდილების ჭეშმარიტ საგანძურს“. თვითონაც ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის მისაღწევად სწორედ ეს გზა, ხელოვნების გზა აირჩია. „მშვიდობის მიღწევა სწორედ ხელოვნებას ხელეწიფება და მჯერა, სწორედ ის გაიკვლევს „გზას აფხაზთა გულებისაკენ“, - ამბობს ის.

ქალბატონო სვეტლანა, გვინდა გვჯეროდეს, რომ თქვენი და თქვენნაირი პიროვნებების ძალისხმევით, ამოივსება აფხაზებსა და ქართველებს შორის გაჩენილი უფსკრული, ისევ დაიბადება გიორგი შარვაშიძე, რომელიც გაიმეორებს სიტყვებს - „საქართველო უაფხაზეთოდ არაფერია და აფხაზეთი უსაქართველოდ“... ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით და ერთად წავიღუღუნებთ მამაპაპურ „ვარადას“.

„არ ჩანს ის ჟამი, რომელსაც ვეტრფით!“

ისინი, აფხაზეთიდან გამოსულნი, ცხოვრებისა თუ შემოქმედების ჭაპანს ერთად ეწევიან. პოეტურ თუ პროზაულ (პუბლიცისტურ) კრებულებს სცემენ და შემოქმედებით წარმატებებსაც ერთად იზიარებენ. მათ ბევრგან ნახავთ ერთად, აფხაზეთზე სევდიანად და ამავე დროს იქ დაბრუნებაზე იმედიანად მოსაუბრეთ. ამ იმედითაც გამოექცნენ შვილებს უცხოეთიდან საქართველოში და აფხაზეთთან უფრო ახლოს, თბილისში დაიდეს ბინა. დონა კოლხმა (დოდო ნარმანია) და დავით გაბუნიამ ახლახან თარგმანების ერთობლივი კრებულიც გამოსცეს, რომლის წინასიტყვაობაშიც თავად ამბობენ:

„მთარგმნელობითი საქმიანობით დიდი ხანია დავინტერესდით. განსაკუთრებით გაგვიტაცა და მიგვიზიდა მსოფლიო კლასიკურმა პოეზიამ.

წლების განმავლობაში რუდუნებით ვიმუშავეთ ბრწყინვალე შემოქმედთა - გოეთეს, ბაირონის, შელის, ქითსის, უიტმენის, ლორკას და ესენინის პოეტურ შედევრებზე.

სამწუხაროდ, რაც აფხაზეთში ცხოვრებისას ვიღვაწეთ, ამ რეგიონში 1992-1993 წლების მუხანათური ომის დროს, სხვა ლიტერატურულ ხელნაწერებთან ერთად განადგურდა.

დევნილობის პერიოდში, თავიდან საქართველოს ქალაქებში, და, შემდეგ, მოსკოვში დროებით დამკვიდრებისას, სხვა სახის ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად, ამ მიმართულებითაც განვაგრძეთ მუშაობა; ვიბეჭდებოდით ადგილობრივ ქართულ გამოცემაში. სამშობლოში დაბრუნების მერე კი თბილისში გამომავალ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში.

წლები მიიწურა, კვლავ დევნილის სტატუსით დავუბრუნდით სამშობლოს. მთარგმნელობითი მუშაობა არ შეგვიწყვეტია, რაც შევძელით, წიგნად გამოვეცით და დიდი მოკრძალებით წარმოგიდგენთ“.

გთავაზობთ **დონა კოლხისა** და **დავით გაბუნიას** რამდენიმე თარგმანს:



გოეთე

მარტი

ჯერ კიდევ უხვად ჩამოდის თოვლი,
არ ჩანს ის ჟამი, რომელსაც ვეტრფით!
რომ ყვავილების ფერადმა თრთოლვამ,
რომ ყვავილების ფერადმა თრთოლვამ
ბედნიერება
გვაჩუქოს მეტი!..
იმ ელვარებას, ივნისს რომ ახლავს,
სიამოვნება მოაქვს ულევი!
ერთი, ან ორი მერცხალის ნახვა,
ერთი, ან ორი მერცხალის ნახვა
არ ნიშნავს მოსვლას
კვლავ გაზაფხულის.
გავცქერ სიამით დღეს ნეტარების,
როცა გვეწვევა თამაშით ფერთა...
კვლავ წამიერად მოვა ზაფხული,
კვლავ წამიერად მოვა ზაფხული,
და ჩვენ ვიქნებით, ძვირფასო, ერთად!..

ბაირონი

***

გათავდა, მორჩა, ჩემი რწმენის
დაიმსხვრა კოშკი!..
არ მაქვს სურვილი და არც მინდა
ჟამთან მინდობა!
ამდენი ღელვით და წამებით, ო,
ამ გულს მოშლილს,
რა ვერაგულად
დაეუფლა უამინდობა!..
აწი შორს ჩემგან უთავბოლო სურვილთა
წყება,
არ ვითხოვ უკვე სიყვარულით
ამ სულის თრობას!..
და ჩემი გულის მხურვალებას,
მოქანცულს წლებით,
ო, ხსოვნის გარდა საუკუნოდ
ვერავინ მოჰბანს!..

შელი

სიმღერა

ნაძვისა და არყის ხეთა ტევრში
ზის ჩიტუნა, სევდას შეუპყრია;
ირგვლივ, სითაც აღარ გაიხედავ,
წააწყდები ფანტელების რიალს...
და რტოებზე ფოთლებიც არ ჩანან,
კვლავ უბერავს შიშველ რტოებს ქარი,
მხოლოდ ზამთრის მდუმარება დარჩა
და ფერები, უკვე მომაკვდავი.
კვნესის ჩიტი! ხეებს აღარ უკვირთ,
დღე ცივია და საოცრად მკრთალი!
ყრუდ გაისმის შორით რაკარუკი
და წისქვილის
ისევ ბრუნავს თვალი...

ლორკა

MEMENTO

როცა მოკვდები, მიმაბარეთ მდინარის
ქვიშას,
თან ჩამატანეთ
გიტარა ჩემი!
როცა მოკვდები, მიმაბარეთ მე იმ ძველ
ჭალას,
სად ფორთოხლების ყვავილობის
იგრძნობა ძალა!..
როცა მოკვდები,სახურავზე დავრჩები
მარად,
ქარში - ფლუგერი...
ჩუმად, მოკვდები როცა!..

სოხუმის საკათედრო ტაძარი

დასაწყისი გვ.1

სოხუმში რუსების დამკვიდრების შემდეგ, ციხესიმაგრეში მოეწყო ეკლესია რუსი სამხედროებისათვის. 1817 წლიდან სოხუმის ეკლესიაში მოღვაწეობდა მღვდელი სოლომონ ნადიროვი (ნადარეიშვილი), რომელიც ქრისტიანობას ქადაგებდა აფხაზებში და მრავალიც მონათლა. მის თბილ დამოკიდებულებას აფხაზებისადმი, დიდ გულმოდგინებას მათი გაქრისტიანების საქმეში, აფხაზეთის ახალგაზრდა მთავარი მიხეილ შარვაშიძე (1823-1864) 1823 წელს მაღალ შეფასებას აძლევდა. იმავე ხანებში სამეგრელოს სამთავრო სახლის კარის ეკლესიის დეკანოზმა იოანე იოსელიანმა საკუთარი სახსრებით აღადგინა სამთავრო სახლის კარის ეკლესია ლიხნში - ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, ღვთისმსახურება გამართა და მღვდლები გაამწესა, ამასთანავე მრავალი აფხაზიც მონათლა, მათ შორის, აფხაზეთის მთავრის გიორგი შარვაშიძის (1810-1821) ოჯახიც. 1821 წელს სოხუმის მახლობლად, ბერძენი ეროვნების გიორგი სკარდანას მეცადინეობით წმ. გიორგის ეკლესია აიგო, რომელიც ცნობილია როგორც სოხუმის სასაფლაოს ეკლესია.

XIX საუკუნის 30-იან წლებში აფხაზეთში რუსეთის ხელისუფლების შედარებით განმტკიცების შემდეგ აქ ქართველ სასულიერო პირთა მისიონერული მოღვაწეობა გაიშალა. რუსეთის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ სასურველი იყო აფხაზეთში მისიონერული საქმიანობისათვის თავდაპირველად ქართველი სასულიერო პირები გამოეყენებინათ. საქართველოს ეგზარქოსმა მოსემ (1832-1834) ცაგერის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი ანტონი (დადიანი), 1833 წლის 12 თებერვალს არქიმანდრიტად აკურთხა და აფხაზეთში მისიონერული საქმიანობის ხელმძღვანელობა მას დაავალა. მომდევნო წლის დასაწყისში არქიმანდრიტი ანტონი აფხაზეთში ჩავიდა და მისიონერულ მოღვაწეობას შეუდგა. აფხაზეთში აქტიურ მისიონერულ საქმიანობას ეწეოდნენ სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენლები.

არქიმანდრიტ ანტონის (დადიანი) მისიონერობის დადებითი შედეგები მალე აშკარა გახდა. არსებობს 1834-1836 წლებში მონათლულთა სიები, რომლებიც ქართულ ენაზეა შედგენილი და დამოწმებულია მთავრის, მიხეილ შარვაშიძის, ან მისი დედის თამარ დადიანის მიერ.

როდესაც ქართველი სამღვდელოების წარმატებები სამისიონერო საქმიანობაში აშკარა გახდა, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები არქიმანდრიტ ანტონის ამ საქმიდან ჩამოშორებას შეეცადნენ, რათა აფხაზეთის გარუსების საქმეში ხელი არ შეშლოდათ. კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი პ. კოცებუ 1840 წლის მარტში საქართველოს ეგზარქოსს წერდა, რომ აფხაზეთში, „ამ ნახევრად ველურ მთიელთა შორის ჭეშმარიტი სარწმუნოების გასავრცელებლად“ აუცილებელი იყო რუსი სასულიერო პირების დანიშვნა. სულ მალე, 1843 წლის 14 თებერვალს, არქიმანდრიტი ანტონი (დადიანი) სამეგრელოს ეპისკოპოსად ეკურთხა. ქართველი არქიმანდრიტის რუსი მღვდლით შეცვლის საკითხის გადაწყვეტა დიდად იყო დამოკიდებული აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის პოზიციაზე, შეინარჩუნებდა თუ არა ის სარწმუნოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ კავშირს ქართულ სამყაროსთან. მაშინ მიხეილ შარვაშიძემ მტკიცედ განაცხადა, რომ სურდა აფხაზეთში, არქიმანდრიტ ანტონის წასვლის შემდეგ, მის ადგილზე იღუმენი თეოფანე (გაბუნია) ყოფილიყო, რომელიც არქიმანდრიტ ანტონთან ერთად ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას და კარგად იცნობდა ამ მხარეს. იმავდროულად, მთავარს სურდა მისი სამფლობელოს ეკლესია უშუალოდ დაქვემდებარებოდა სამეგრელოს ეპისკოპოს ანტონს.

რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთის მთავრის განაწყენებას მოერიდა და მისი სურვილი გაითვალისწინა. იღუმენი თეოფანე (გაბუნია) აფხაზეთში მისიონერულ საქმიანობას ჩაუდგა სათავეში, 1845 წელს კი იგი იღუმენმა გერმანემ (გოგელაშვილი) შეცვალა.

40-იანი წლების ბოლოს რუსეთის ხელისუფლება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აფხაზეთში ცალკე ეპარქიის შექმნა აუცილებელი იყო. მიხეილ შარვაშიძესაც ძალიან სურდა აფხაზეთში სამღვდელმთავრო კათედრის შექმნა. მან შესაბამისი წინადადებით საქართველოს ეგზარქოსს 1849 წელს მიმართა. მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღორძინების მიზნით, იმპერატორის 1851 წლის 30 აპრილის ბრძანებულებით და სინოდის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ეპარქია შეიქმნა. 8 სექტემბერს, სიონის ტაძარში, აფხაზეთის ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქნა მიხეილ შარვაშიძის სულიერი მოძღვარი, არქიმანდრიტი გერმანე (გოგელაშვილი). 1857 წლის ოქტომბერში იგი ეპისკოპოსმა გერონტიმ (პაპიტაშვილი) შეცვალა.

1860 წლის 9 ივნისს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ შეიქმნა. საზოგადოების საქმიანობაში დიდი ადგილი ეკავა მისიონერულ მუშაობას. საზოგადოების დროშით, მისიონერებისა და მართლმადიდებელი სამღვდელოების მონაწილეობით, კავკასიაში მთიელთა აშკარა რუსიფიკაცია წარიმართა. საზოგადოებამ მუშაობა აფხაზეთშიც გაშალა, სადაც სწრაფი ტემპით წარიმართა ეკლესიების აღდგენა-მშენებლობა. 1861 წელს საზოგადოებამ ათარაში პირველი ეკლესია ააგო. ამავე ხანებში, 1862-1864 წლებში, მიხეილ შარვაშიძემ მოქვის ტაძარი აღადგინა.

1862 წლის 4 მარტს აფხაზეთის ეპისკოპოსად არქიმანდრიტი ალექსანდრე (ოქროპირიძე) ეკურთხა. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (1862-

1869) აფხაზეთში მართლმადიდებლობის პოზიციების შენარჩუნება და განმტკიცება შეძლო. მისი მეცადინეობითა და ბიჭვინთის ოლქის უფროსის დიმიტრი ჭავჭავაძის ძალისხმევით 1867 წელს 3 ათასამდე აფხაზი მოინათლა. ალექსანდრე ეპისკოპოსი აფხაზ ყმაწვილებს საკუთარი სახსრებით ზრდიდა და სასულიერო განათლებას აძლევდა.

1864 წლის ივლისში აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა და ამ მხარეში უშუალო რუსული მმართველობა დამყარდა. 1866 წელს საკუთრივ აფხაზეთის (სოხუმის ოკრუგი), წებელდის (მდ. კოდორის შუა და ზემო წელი, ისტორიული წებელი და დალი) და სამურზაყანოს (ოქუმის ოკრუგი) შეერთებით სოხუმის სამხედრო განყოფილება შეიქმნა. აფხაზთა 1866 წლის აჯანყებისა და 1867 წლის მუჰაჯირობის შემდეგ სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა გენერალ-მაიორმა ვ. გეიმანმა (1867-1872) მიიჩნია, რომ აფხაზეთის მოსახლეობის გარუსებისათვის ხელსაყრელი დრო დადგა. მას აფხაზეთში სამისიონერო საქმისაგან ქართული სამღვდელოების ჩამოშორება და მათი რუსი სამღვდელოებით შეცვლა სურდა. 1867 წელს ვ. გეიმანმა მეფისნაცვალს ვრცელი მოხსენება წარუდგინა „აფხაზეთში ქრისტიანობის შესახებ“, სადაც აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის ეკლესიებში ღვთისმსახურება „გაუგებარ ქართულ ენაზე სრულდებოდა“. მოსახლეობის მცირერიცხოვნობის მოტივით იგი აფხაზეთის ეპარქიის გაუქმებისა და იმერეთის ეპისკოპოსისადმი დაქვემდებარების საკითხს აყენებდა. 1869 წლის მაისში აფხაზეთის ეპარქია იმერეთის ეპარქიას შეუერთდა.

როდესაც აფხაზეთის ეპარქიის რეორგანიზაციის საკითხი დადგა, აფხაზეთში 31 ეკლესია და 33 მღვდელმსახური იყო. მათ შორის, სამურზაყანოში - 15 ეკლესია და 15 მღვდელი, აბჟუის ოლქში - 10 ეკლესია და 10 მღვდელი, აფხაზეთის ოლქში - ერთი ეკლესია დრანდაში ერთი მღვდლით, ბზიფის ოლქში 4 ეკლესია და 7 მღვდელი, სოხუმში - ერთი ეკლესია ერთი მღვდლით.

მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების განმავლობაში აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების თვალსაზრისით ბევრი რამ გაკეთდა, სოხუმში რიგიანი ტაძარი არ არსებობდა. აქ იყო არაკანონიკური სტილის ეკლესია. ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), რომელიც 1868 წლის ივნისიდან აფხაზეთის ეპარქიის დროებითი საეპისკოპოსოს სახით ცალკე გამოიყო. სინოდის განკარგულებით, აფხაზეთის ტაძრებში ღვთისმსახურება საეკლესიო-სლავურ ენაზე უნდა აღესრულებინათ. 1886 წლის დეკემბერში მოსკოვის ტროიცე-სერგიევოს ტაძარში არქიმანდრიტი გენადი (პავლინსკი) სოხუმის ეპისკოპოსად აკურთხეს. ამ დროიდან სოხუმის ეპისკოპოსებად ძირითადად რუსები ინიშნებოდნენ, ერთადერთი გამონაკლისი იყო ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი). 1886 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში გაბრიელ ეპისკოპოსი ჩავიდა. 27 სექტემბერს მან აკურთხა განახლებული დრანდის ტაძარი, ხოლო მეორე დღეს, 28 სექტემბერს, სოხუმის ახალ ტაძარში წირვა ჩაატარა.

სოხუმის ტაძარი, რომელიც უკვე საკათედრო გახდა, ქალაქის ცენტრში, კოლიუბაკინის ქუჩაზე მდებარეობდა. მოგვიანებით, აქვე აიგო საეპარქიო სახლი, მღვდელმთავრის ორსართულიანი სასახლე (შემდეგში აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი), მის მიმდებარედ იყო ბოტანიკური ბაღი.

1887 წელს სოხუმში ახლადდანიშნული ეპისკოპოსი გენადი (1886-1889) ჩამოვიდა. ეპისკოპოსმა თავის რეზიდენციად ახალი ათონის მონასტერი აირჩია, რადგან საეპარქიო სახლის მშენებლობა ჯერ დასრულებული არ იყო. როდესაც იგი გარდაიცვალა, 1889 წლის 31 მარტს, ახალი ათონის წმ. სიმონ კანანელის ტაძარში დაკრძალეს. შემდეგი ეპისკოპოსები უკვე ძირითადად სოხუმში ისხდნენ.

განსაკუთრებული ღვთისმოსაობით აფხაზეთში ბერძნული თემი გამოირჩეოდა. 1909 წელს ბერძნული თემის სახსრებით სოხუმში ახალი ტაძრის მშენებლობა დაიწყო. 1915 წელს მშენებლობა დასრულდა და ტაძარი წმ. ნიკოლოზის სახელზე აკურთხეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იურისდიქციის აფხაზეთში გავრცელებასთან ერთად, აფხაზეთში საქართველოს ეკლესიის უფლებებიც აღდგა, მიუხედავად რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობისა. სოხუმის საკათედრო ტაძარი და მღვდელმთავრის სახლი ავტონომიური აფხაზეთის საკუთრებად გამოცხადდა. 1919 წლის სექტემბერში, აფხაზეთის კათედრაზე ეპისკოპოსის არჩევამდე აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა მმართველად არქიმანდრიტი იოანე (მარგიშვილი) დაინიშნა. არქიმანდრიტმა იოანემ მოკლე ხანში მოახერხა სოხუმის საკათედრო ტაძარი საქართველოს ეკლესიისათვის დაებრუნებინა, მიუხედავად რუსების მცდელობისა, შეენარჩუნებინათ იგი.

1919 წლის ოქტომბერში აფხაზეთის ეპისკოპოსად ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია) იქნა ხელდასხმული, მაგრამ იგი ძირითადად მარტვილში იმყოფებოდა. 1921 წლის სექტემბერში იგი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად იქნა არჩეული. იმავე წლის ოქტომბერში ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას ეპისკოპოსი იოანე (მარგიშვილი) ჩაუდგა სათავეში. იგი ცდილობდა აფხაზეთში მცხოვრებ რუს-ბერძენ-აფხაზთა საქართველოს ეკლესიის წიაღში შემოყვანას, სოხუმის საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურება ოთხ ენაზე - ქართულად, საეკლესიო-სლავურზე, აფხაზურად და ბერძნულად აღევლინა. იმავდროულად, რუსი სამღვდელოება ცდილობდა ხელში ჩაეგდო ტაძრები და არ შესულიყვნენ საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, ეპისკოპოსმა იოანემ შეძლო შეენარჩუნებინა საქართველოს ეკლესიის გავლენა ეპარქიაში.

XX საუკუნის 20-30-იანი წლების ანტირელიგიური კამპანიის დროს საეპარქიო სახლში 1922-1930 წლებში აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოება, ხოლო 1930-1940 წლებში აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი იყო განთავსებული. რამდენიმე ოთახი ეკავა აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელსაც 40-იანი წლებიდან მთლიანად დაეთმო შენობა. შენობის თავდაპირველი სახეც გარკვეულწილად შენარჩუნდა. სოხუმის საკათედრო ტაძარი გადააკეთეს და აქ აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონია განთავსდა.

20-40-იან წლებში აფხაზეთში მხოლოდ 6 ტაძარი იყო მოქმედი, მათ შორის, წმ. ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესია. ეპისკოპოს ანტონის (გიგინეიშვილი) დროს, 50-იანი წლების შუა ხანებში, სოხუმის ბერძნული ტაძარი საკათედრო გახდა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელზე აკურთხეს. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის დავითის (ჭკადუას) ინიციატივით, 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დასაწყისში ტაძარში სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა. სწორედ მაშინ, 1980 წელს, ტაძარს რამდენიმე გვერდითი მინაშენი გაუკეთდა. ერთ-ერთი მინაშენი, ეკვდერი, წმ. ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის სახელზე აკურთხეს, კეთილმოეწყო სამღვდელმთავრო სახლიც.

სოხუმის საკათედრო ტაძარი წარმოადგენს ბერძნული და რუსული არქიტექტურული ფორმების ნაზავს. ეს არის ჯვარგუმბათოვანი, სამნავიანი ტაძარი, რომელიც ბიზანტიური სტილის გუმბათით ბოლოვდება. ტაძარში დასვენებულია ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლი, წმ. სვიმონ კანანელის, წმ. ანდრია პირველწოდებულის, წმ. ნიკოლოზის, წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ბასილისკოს ხატები, წმ. პანტელეიმონ მკურნალის ხატი მისი წმინდა ნაწილებით. 2010 წელს ჩატარდა ტაძრის სრული რესტავრაცია. ტაძარს ახალი მოოქროვილი გუმბათი დაადგეს, რომელიც რუსეთის ფედერაციაში, ქ. ჩელიაბინსკში დამზადდა. ტაძარში ღვთისმსახურება საეკლესიო სლავურზე, ბერძნულზე, აფხაზურ ენებზე, ხოლო აღდგომას ქართულ ენაზეც სრულდება.

ნაკვალევი, რომელსაც ომიც კი ვერ შლის

მაია შონია

საბედნიეროდ, გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანთა ნაკვალევის წაშლა დროსაც არ ძალუძს. მათ მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას არა მხოლოდ წერილები, უბის წიგნაკები, ძველი, თუნდაც ოქროს ფონდში დაცული ფირები და ფირფიტები ინახავენ, არამედ ეს საგანძური ყველაზე კარგად ადამიანების - შთამომავლების, მეგობრების, ოჯახის წევრების გონებაშია დაცული და ამიტომ მას ვერაფერს აკლებს ვერც დრო და ვერც ომით გამოწვეული მძიმე შედეგები. კოტე ჩიკვატია სწორედ იმ ხელოვანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლის ნაკვალევის წაშლა ომმაც კი ვერ შეძლო.

კოტე ჩიკვატია 1907 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში დაიბადა. პირველადი განათლება მღვდელ კალისტრატე ცხაკაიასთან მიიღო. შემდეგ სწავლობდა გალის საეკლესიო-სამრევლო სამასწავლებლო სასწავლებელში. 1929 წელს დაამთავრა გალის პირველი საშუალო სკოლა. მამა ადრე გარდაეცვალა და ოჯახური მდგომარეობის გამო უმაღლესი განათლება ვერ მიიღო, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ წამყვან თანამდებობებზე ემუშავა. იგი საბოლოოდ გალში დამკვიდრდა, ოჯახიც აქ შექმნა, დაქორწინდა მის მიერვე დაარსებული ანსამბლის წევრ სულიკო შენგელიაზე, გახდა სამი შვილის (ლიანა, ზურაბი, რაისა) მამა და ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი წლებიც აქ გაატარა. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს გამორჩეულად სიმღერა და ცხენოსნობა უყვარდა. ხელოვნებისა და სპორტის ეს დარგები, რომლებიც მის ცხოვრებაში ერთგვარად ავსებდა კიდეც ერთმანეთს (სიმღერა და ცხენზე ჯირითი განსაკუთრებულ ხიბლს რომ სძენდა ვაჟკაცებს, თითქმის განუყრელი რამ იყო იმდროინდელ სამეგრელოში) კოტე ჩიკვატიას ცხოვრების ძირითად საქმიანობად იქცა. მისი განსაკუთრებული ნიჭის წყალობით იგი ორივე ამ დარგის გამორჩეული წარმომადგენელი იყო.

გასული საუკუნის 50-იან წლებში კოტე ჩიკვატია გალში სათავეში ჩაუდგა საცხენოსნო სპორტის განვითარების საქმეს და ჩამოაყალიბა საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო სპორტული სკოლა, რომლის დირექტორი იყო 1977 წლამდე. ამ სკოლამ ხელი შეუწყო ცხენოსნობის ეროვნული სახეობების განვითარებას, საუკუნოვანი ტრადიციები აღადგინა და არაერთი სპორტის ოსტატი გაზარდა, რომლებიც საკავშირო შეჯიბრებებში იმარჯვებდნენ.

მიუხედავად წარმატებული სპორტული თუ საზოგადოებრივი საქმიანობისა, **კოტე ჩიკვატიას** სახელი მაინც ქართულ ხალხურ სიმღერასთან ასოცირდება. ეს არც არის გასაკვირი, რადგან საუბარია ადამიანზე, რომელმაც გალის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ოქროს ხანა შექმნა **კიწი გეგეჭკორთან და აკაკი ხარებავასთან** ერთად.

1931 წელს კოტე ჩიკვატიამ კიწი გეგეჭკორთან, ლეონტი შონიასთან, კაპიტონ შენგელიასთან, ბორის აქუბარდიასთან და სხვებთან ერთად გალის რაიონის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო რაიონული ანსამბლი დააარსა. კიწი გეგეჭკორის შემდეგ კი (1938 წლიდან) აკაკი ხარებავასთან ერთად ანსამბლის ხელმძღვანელი და წამყვანი სოლისტი იყო. ამ პერიოდში შეიქმნა ანსამბლის სრულიად უნიკალური რეპერტუარი, რომელშიც პოპულარულ სიმღერებთან ერთად მანამდე უცნობი ხალხური მელოდიებიც შევიდა. კოტე ჩიკვატია ამ უძველესი და თითქმის მივიწყებას მიცემული ხალხური სიმღერების მოძიებაში აქტიურად იყო ჩართული. ანსამბლის წევრები საოცარი პროფესიონალიზმით ასრულებდნენ მეგრულ „ჩელასა“ თუ „სიმღერას რუსთაველზე“, „კუჩხი ბედინერის“ თუ „მარებელს“.

„მე თავად ვარ თვითმხილველი, თუ როგორი გულმოდგინებით ეძებდნენ, მარცვალ-მარცვალ აგროვებდნენ ძველ ხალხურ სიმღერებს, როგორი რუდუნებით ამუშავებდნენ, ხვეწდნენ და ახლებურად აჟღერებდნენ მათ ბატონი აკაკი ხარებავა (კაკო ბიძია) და მამა (მათ ნოტები არ იცოდნენ და ყველაფერს ზეპირად აკეთებდნენ). „კუჩხი ბედინერი“, „სიმღერა რუსთაველზე“, „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“, „მა სი ვარდი“, „თიში იღბალი მიღუდუო“, „მეურემე“, „გეშვია“, „მარებელი“, „ჩელა“ და სხვ. ეს იმ სიმღერების მცირე ჩამონათვალია, რომელთა საკუთარი ვარიანტები შექმნეს მამამ და ბატონმა აკაკიმ და უდიდესი წარმატებით ასრულებდნენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მამას ძლიერი, ლამაზი პირველი ხმა ჰქონდა და ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი სიმღერა, არასდროს შეეშლება სხვაში“, - იხსენებს კოტე ჩიკვატიას ქალიშვილი **რაისა ჩიკვატია-ქარაია,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი.

გალში, გორკის ქუჩაზე დღემდეა შემორჩენილი სახლი, რომელიც ბევრი საინტერესო მოგონების უტყუარი მოწმეა. კოტე ჩიკვატიას ოჯახი ამ სახლში მასპინძლობდა გალში გასტროლებზე ჩამოსულ „სუხიშვილებს“, აკაკი ხორავას, ვერიკო ანჯაფარიძეს, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელს რაჟდენ გუმბას, რომელთანაც ოჯახის უფროსს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. სახლში, სადაც თითქმის ყველა ოჯახის წევრი მღეროდა, ხშირად პირველად სრულდებოდა ბევრი სიმღერა, რომელიც შემდეგ ანსამბლის რეპერტუარს ქმნიდა. აქ გახმიანებულა როგორც მანამდე უცნობი ხალხური სიმღერები, ისე ნაცნობი მელოდიების ახალი ვარიანტებიც, რომელთა ავტორი ხშირ შემთხვევაში კოტე ჩიკვატია იყო. მისი სიმღერა ყოველთვის გამოირჩეოდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი საშემსრულებლო მანერითა და მელოდიების მისეული ინტერპრეტაციებით.

ბაკურ გულუა (იგი მაშინ გალის რაიონის რაიკომის მდივანი იყო, ანსამბლის მოღვაწეობას აქტიურად ადევნებდა თვალყურს და ზედმიწევნით კარგად იცნობდა მის რეპერტუარს) წლების შემდეგ ასე იხსენებს საოცარი სიმღერების შესრულებით გამოწვეულ ემოციებს: „ჯერ კიდევ მაშინ და მომდევნო წლებშიც არ გამნელებია გალის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მიერ სტუმრებსა და მასპინძლებზე დატოვებული განსაკუთრებული შთაბეჭდილება. ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში მათი საოცარი საშემსრულებლო დონე, განუმეორებელი კოლორიტი, დამოკიდებულება ტრადიციებისადმი, ადათ-წესებისადმი, დახვეწილი ქცევა და უნიკალური სასიმღერო კულტურა“.

გალის რაიონული გაზეთ „გალის“ ყოფილი რედაქტორი **რაფიელ გელანტია** კოტე ჩიკვატიას პიროვნულ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას წერილში, რომელიც ხელოვანს ეძღვნება: „კოტე ზუსტად ისეთი იყო, როგორიც სამურზაყანოელთა უმეტესობა - უსიტყვო, ალალ-მართალი, წესიერი, უღალატო, შეუპოვარი, ნიჭიერი, თავის ქვეყანაზე, კუთხეზე, ოჯახსა და წუთისოფელზე უზომოდ შეყვარებული, სისხლითა და ხორცით ქართველი. იგი ცოცხლობდა სიმღერით, ლექსით, მეგობრებით, ადამიანური ყოფის იმ განსაკუთრებული წესით, შემოქმედება რომ ჰქვია: ქმნიდა ცნობილი სიმღერების ახალ ვარიანტებს, სანთლით დაეძებდა სოფლებში მივიწყებულ ნიმუშებს, მეგობრებთან ერთად ხვეწდა და ქვეყანას უბრუნებდა სამურზაყანოელთა სახელით, ახლებურად აჟღერებდა „ოდოიას“, „ჯანსულოს“, „სი ქოული ბატას“, „ვარადას“, „ასე ჩონგური ქოფთქუათუს“, „ვაი შური საყვარელის“, „აშო ჩელას“, „რუსთაველს“, „მეურემეს“, „ართი ვარდის“, „თიში იღბალი მიღუდუოს“, „აბა ულას“ და მრავალ სხვას“.

„ყურში ჩამესმის მისი კრიალა, კამკამა ხმა (ლაპარაკის დროს ცოტა გაბზარული ხმა ჰქონდა), რომელიც არა მარტო თავისი სილამაზით გამოირჩეოდა, არამედ ჰარმონიულად ერწყმოდა ანსამბლის ჟღერადობას. აკაკი ხარებავა და კოტე ჩიკვატია იყვნენ ამ ანსამბლის ხერხემალი, მის უღელში შებმული ხარები - ჩელა და ბუსკა. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ გალის რაიონის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ჩანაწერებს - „მარებელს“, „კუჩხი ბედინერის“, „ჩელას“, „ოდოიას“ და მრავალ სხვა ხალხურ მუსიკალურ შედევრს მოუსმენთ“, - იხსენებს საქართველოს დამსახურებული არსტისტი **ჯუმბერ ყოლბაია.**

ამ სიმღერების უდიდესი ნაწილი საქართველოს ტელერადიოკომპანიის ოქროს ფონდში ინახება. ოქროს ფონდშია დაცული ანსამბლზე გადაღებული ფილმი „კოლხური სიუიტაც“, რომელმაც უნიკალურ ხმებთან ერთად ანსამბლის წევრთა სახეებიც შემოგვინახა. ფილმის გადაღება 1970-იან წლებში გადაწყდა. ამისთვის საჭირო იყო გუნდის მოსმენა, რეპერტუარის შერჩევა და ფონოგრამების ჩაწერა. გუნდის მოსასმენად გალში ჩასულ ტელევიზიის წარმომადგენლებს მოსმენაზე კოტე ჩიკვატიას ხმა განსაკუთრებით მოეწონათ. ის მღეროდა როგორც დამწყებს, ისე მოძახილსა და ბანს. გუნდის მოსმენაზე ჩასული **ანზორ ერქომაიშვილი** იხსენებს: „კოტეს ლამაზი ხმა ჰქონდა, სიმღერის დროს თავისუფლად იმპროვიზირებდა და ახალ-ახალ ვარიანტებს ქმნიდა, იგი ნამდვილად ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული მომღერალი იყო, თავის მეგობრებთან კარგად იყო შემღერებული და გასაოცარი ტექნიკითა და განსაკუთრებული სასიმღერო მანერით ასრულებდა უძველეს მეგრულ სიმღერებს. მაშინ ბევრი ჩემთვის უცნობი სიმღერა მოვისმინე, რომელიც დღემდე არ ამოდის ჩემი მეხსიერებიდან“.

1958 წელს კოტე ჩიკვატიას აფხაზეთის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. 1980 წელს გალში მისი საიუბილეო საღამო გაიმართა. როგორც მისი ოჯახის წევრები ჰყვებიან, 1981 წლის 16 იანვარს საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფმა სიმღერა წამოიწყო, საოცრად ლირიკული მეგრული მელოდია, რომელსაც რეფრენად სიტყვები - „ჩქიმი ცოდა...“ (ჩემი ცოდვა...) გასდევდა. ამ სიმღერით გამოემშვიდობა წუთისოფელს.

2009 წელს გალელმა მეზობელმა **ომარ ეზუგბაიამ** თბილისში, დევნილობაში მცხოვრებ ჩიკვატიების ოჯახს კოტე ჩიკვატიას არქივი ჩამოუტანა, რომელიც მანამდე დაკარგული ეგონათ. არქივი ომის დაწყებამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე გაატანეს ოჯახში რაჟდენ გუმბას სახელით მოსულ ქალბატონს. მალე ომი და დევნილობის წლები დაიწყო და ამ მასალების დაბრუნების იმედი არავის ჰქონდა.

დღემდე არავინ იცის, ვინ ჩამოიტანა სოხუმიდან უნიკალური ფოტოები, სიგელები, დიპლომები, ფირები, კოტე ჩიკვატიას აფხაზეთის დამსახურებული არტისტის დიპლომიც კი... არადა, აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია „ამ აფხაზეთის“ დაბრუნებაზე ვოცნებობთ.

გალის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტები. მარცხნიდან: კოტე ჩიკვატია, ლეონტი შონია, მეგო ხორავა.



კიწი გეგეჭკორი და კოტე ჩიკვატია

კადრი ფილმიდან „კოლხური სიუიტა“, სიმღერა „მარებელი“.

კადრი ფილმიდან „კოლხური სიუიტა“

თაობა, რომელმაც უცხო გარემოში დამკვიდრება შეძლო

მაია შონია

მეგი მარღანია სოხუმში დაიბადა. ომი რომ დაიწყო, რვა წლის იყო, სოხუმის მე-11 საშუალო სკოლაში სწავლობდა. მერე იყო დევნილობის წლები. საცხოვრებელი ადგილებისა და სკოლების შეცვლა, გაჭირვების გამო ზოგჯერ მთელი სემესტრის გაცდენა. მიუხედავად ამისა, 1999 წელს სტუდენტი გახდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში ბაკალავრიატი ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით დაამთავრა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაზე გააგრძელა.

ოჯახიც ამ პერიოდში შექმნა. ბედი ასევე სოხუმელ ირაკლი ყურუას დაუკავშირა, იქ თანაკლასელები იყვნენ... შემდეგ სოხუმის უნივერსიტეტში შეხვდნენ ერთმანეთს და მიხვდნენ, რომ ერთად უნდა გაეგრძელებინათ გზა. ირაკლი პროფესიით დიპლომატია, მაგრამ სპეციალობით არ მუშაობს. ორი შვილი ჰყავთ 13 წლის გოგონა და 6 წლის ბიჭუნა.

ლიდერის თვისებებით ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა და მენეჯერული პოზიცია ყოველთვის იზიდავდა. სწორედ ეს გახდა მთავარი მიზეზი, რის გამოც 2007 წელს ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობაზე თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და შედეგებით პირველ ხუთეულში აღმოჩნდა. მას აქეთ წარმატებით უძღვება თბილისის მე-100 საბავშვო ბაგა-ბაღს (იისფერ ბაღს). თუმცა ეს ყველაფერი ადვილი არ იყო. მის მიერ გავლილ რთულ და შრომატევად გზაზე თავად **მეგი მარღანია** გვესაუბრება:

- 750 კონკურსანტში ქულების მიხედვით მეხუთე ადგილზე გავედი და თბილისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საბავშვო ბაღის დირექტორად დავინიშნე. 2007 წელს ბაღების ოპტიმიზაცია მოხდა და ჩვენს ბაღში სამი ბაღი გაერთიანდა. დირექტორი რომ გავხდი, 24 წლის ვიყავი. ჩემი უფროსი შვილი, სამი წლის იყო და ერთ-ერთი შემოერთებული ბაღის აღსაზრდელი იყო, ანუ იმ კოლექტივს ვიცნობდი როგორც მშობელი. სამი კოლექტივის შეერთება და ერთ გუნდად ქცევა ადვილი არ აღმოჩნდა, მაგრამ ყველაფერი გადავლახეთ. ძალიან მალე დავმეგობრდით ყველანი. ამჟამად გვყავს ასი თანამშრომელი და 800 აღსაზრდელი.

- 24 წლის გოგონასთვის რთული არ იყო ამხელა კოლექტივის ხელმძღვანელობა?

- რა თქმა უნდა, ძალიან რთული იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, სკოლამდელ ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება რომ არ მქონდა, ეს გარკვეულწილ უკეთესიც აღმოჩნდა. რადგან თავიდანვე რომ მცოდნოდა, რამხელა პასუხისმგებლობასა და შრომას ვეჭიდებოდი, შესაძლოა, არც დამეწყო აქ მუშაობა.

- საბავშვო ბაღის დირექტორობა რატომ გადაწყვიტეთ? ბევრი სამსახური ჩამოთვალეთ, სადაც შეგეძლოთ კარიერის გაგრძელება.

- სწავლის დამთავრების შემდეგ სულ ძიებაში ვიყავი. ყოველთვის მინდოდა რაღაც სფეროში მენეჯერულ პოზიციაზე მომესინჯა ძალა. ვფიქრობ, ბავშვობიდან იყო ჩემში ლიდერის თვისებები. მანამდე რამდენიმეგან ერთდროულად ვმუშაობდი. მინდოდა ერთ ადგილას ვყოფილიყავი და ძალების კონცენტრაცია მომეხდინა. მერე შევეჩვიე და შემიყვარდა აქაურობა, ეს საქმე. ახლა უკვე ძალიან ბევრი რამაა ამ ბაღში ჩემი ხელით შექმნილი და დასათმობად მენანება. თუმცა მიმაჩნია, რომ დადგება დრო, როცა წინ უნდა წავიდე და ერთ ადგილას არ გავჩერდე.

- როგორი მდგომარეობა დაგხვდათ ბაღში და რა გააკეთეთ მის შესაცვლელად?

- შენობა, ფაქტობრივად, განადგურებული დამხვდა. მის ნახევარ ნაწილში დევნილები ცხოვრობდნენ. ისინი რომ გაიყვანეს, ძალიან ცუდი მდგომარეობა დარჩა. ბაღში 170 აღსაზრდელი ირიცხებოდა. დავიწყეთ ბაღის შენობის სრულად ათვისება, გარემონტება. რემონტი სამზარეულოდან დავიწყეთ, რათა ბავშვებს ჯანსაღი და უსაფრთხო საკვები ჰქონოდათ. ამჟამად შენობა მთლიანად გარემონტებულია. კეთილმოეწყო ეზო, გამოიცვლა ავეჯი, საბავშვო ბაღში გაჩნდა სათამაშოები, რაც, ფაქტობრივად, მანამდე არ არსებობდა. ვიზრუნეთ ისეთ საკითხებზეც, როგორიცაა კანცელარია, დოკუმენტაციის მოწესრიგება, თანდათან ელექტრონული საქმის წარმოებაზე გადავედით.

- გახდა თუ არა საჭირო საკადრო ცვლილებები?

- განვლილი ათი წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, მოხდა საკადრო ცვლილებები, მაგრამ მხოლოდ 4-5 ადამიანს შეველიეთ, ვინც ფეხი ვერ აუწყო ახალ ვითარებას. ძირითადად ძველი გუნდი შევინარჩუნეთ, დაახლოებით 60-მდე ახალი თანამშრომელიც მივიღეთ. მერე ყველა მათგანი გადავამზადეთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ათი წლის განმავლობაში უამრავი ტრენინგი გვაქვს გავლილი. ჩვენი პედაგოგები გადამზადებას გადიან ილიას უნივერსიტეტში არსებულ სკოლამდელი აღზრდის ცენტრში. ცენტრთან მემორანდუმი გვაქვს დადებული და თუ რამე სიახლე შემოდის, ყველაფერს ვეცნობით.

ერთი წელია, რაც ჩვენს ბაღს თავად აქვს რესურსცენტრის სტატუსი, ანუ გვყავს საგანგებო გუნდი, რომელსაც უფრო მეტად ვამზადებთ და მერე ისინი მთელ კოლექტივს, ასევე მომავალ პედაგოგებს, ფსიქოლოგებს, უტარებენ ტრენინგებს. ჩვენი პედაგოგები წარმატებული ტრენერ-სუპერვაიზორები არიან. ისინი დადიან კიდეც სხვა ბაღებში თბილისის მასშტაბით. ეს ყველაფერი თბილისის მერიასა და გაეროს ბავშვთა ფონდთან დადებული მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება.

- თქვენს კაბინეტში ძალიან ბევრი სიგელი და სერთიფიკატია გამოფენილი.

- მართლაც უამრავი სიგელი და სერთიფიკატი გვაქვს მიღებული სხვადასხვა პროექტში მონაწილეობისთვის, ასევე ინკლუზიური განათლების დანერგვისთვის. ჩვენი ბაღი იყო პირველი, სადაც მოხდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ჯგუფებში ინტეგრირება. ყოველწლიურად ოცამდე ასეთი აღსაზრდელი გვყავს. ამ მიმართულებით ძალიან დიდი წარმატებები გვაქვს. თითქმის ყველა პედაგოგმა გაიარა შესაბამისი ტრენინგი. ნებისმიერი სიმძიმის ბავშვის მისაღებად მზად ვართ. გარემო იმდენად ადაპტირებული არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უარს არავის ვეუბნებით.

- თქვენი ბაღის უმთავრეს პრობლემად რას მიიჩნევთ?

- დღეს ჩვენი და საერთოდ საჯარო ბაღების ყველაზე დიდი პრობლემაა ის, რომ ჯგუფში 40-დან 45 ბავშვამდეა. თუმცა, არსებობს სპეციალური პროგრამა, რომელიც ამ ყველაფერზეა მორგებული და ჩვენს რეალობასთანაც ახლოსაა. თემატური სწავლება ჯგუფურად მიმდინარეობს და აღმზრდელი ახერხებს, ყველამ ერთნაირად აითვისოს პროგრამა. ეს პროცესი კარგადაა ორგანიზებული. გარემოც შესაბამისად მოეწყო. იმედი გვაქვს, დაგეგმილი ახალი ბაღების გახსნის შემდეგ ჩვენი ბაღიც განიტვირთება.

- კერძო ბაღები რამდენად გიწევენ კონკურენციას და თქვენი ბაღი სხვებისგან რითი გამოირჩევა?

- კერძო ბაღების ერთადერთი უპირატესობა ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობის სიმცირეა. სხვა მხრივ, მათ კონკურენციას თავიანთ ბაღებს ვუწევთ. პროგრამის, კვების, ეზოს, გასეირნების და პირობების მხრივ ჩვენთან არსებული სიტუაცია ბევრ მშობელს ჩვენს სასარგებლოდ განაწყობს. ჩვენ განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებთ. ყველა ბაღის მოვალეობაა აკეთოს ის, რასაც ვაკეთებთ ჩვენ. ქალაქის მერია ყველა ბაღს ერთნაირად უყენებს ამ მოთხოვნებს. ჩვენ რასაც სხვებზე უკეთ ვაკეთებთ, არის ის, რომ ჩვენი ბაღის კარი ღიაა ყველა ბავშვისთვის. მშობლემა იციან ეს და თუ ვინმეს რამე პრობლემა აქვს, ყველა თავშესაფარს ჩვენთან ეძებს. ეს არის ჩვენი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი. ამიტომაც აღსაზრდელები მხოლოდ გლდანის რაიონიდან კი არა, ქალაქის თითქმის ყველა უბნიდან გვყავს.

- სკოლებში არსებობს ღია გაკვეთილის ტრადიცია. თქვენთან თუ ტარდება ასეთი გაკვეთილები, ან თუ არის რამე მეთოდიკა, რომლითაც თქვენი პედაგოგები გამოირჩევიან?

- მთელი წლის განმავლობაში გავდივართ თემებს და თითოეული ასეთი თემის დასრულების შემდეგ ვაკეთებთ პრეზენტაციებს - ღია გაკვეთილს პლუს პრეზენტაცია, სადაც პედაგოგი აცნობს აუდიტორიას თემას და მასთან დაკავშირებით ჩატარებულ სამუშაოს - რა მოგვცა ამ თემამ და რა მიღწევები გვაქვს. ამ ყველაფერს ინდივიდუალურადაც გავდივართ მშობელთან - რა ვერ დაძლია ბავშვმა და რას უნდა მიაქციოს ყურადღება. უფრო მეტად უნარ-ჩვევების განვითარებაზე ვართ ორიენტირებული, ვიდრე სწავლებაზე. ძირითად დროს ვხარჯავთ იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც სკოლამდელმა დაწესებულებამ უნდა მისცეს აღსაზრდელს. ამდენად, ჩვენი ბავშვები ბევრად მომზადებულები მიდიან სკოლებში, ვიდრე სხვები. ჩვენი პროგრამა არ ითვალისწინებს წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლას, რომ ბავშვებისთვის სკოლის პირველი კლასის პროგრამა უინტერესო არ გახდეს. ბავშვებს პრობლემები ჰქონდათ იმის გამო, რომ წერა-კითხვა იცოდნენ და არ ფლობდნენ იმ უნარ-ჩვევებს, რაც უფრო აუცილებელი იყო, მაგალითად, ჯდომის, მოსმენის კულტურა და ა. შ. კარგია, რომ ახალი პროგრამით ეს შეიცვალა. 800-ივე აღსაზრდელი ერთად მონაწილეობს ყველა ღონისძიებაში, რომელიც ძირითადად ეზოში იმართება. ზამთარშიც, საახალწლო ზეიმიც კი ეზოში გვაქვს ხოლმე.

- ინარჩუნებთ თუ არა რამენაირ კონტაქტს თქვენს აღსაზრდელებთან მათი სკოლაში წასვლის შემდეგ?

- როგორც წესი, არ გვაქვს ვალდებულება, რომ ბავშვებს სკოლაშიც მივადევნოთ თვალი, მაგრამ რადგან ამდენ დროს, ენერგიას და შრომას ვდებთ თითოეულ აღსაზრდელში, სკოლებშიც ვერ ვტოვებთ მათ უყურადღებოდ. ბავშვებს ვაბარებთ სპეც-პედაგოგებს, რომ გაგრძელდეს მათთან ის მუშაობა, რაც ჩვენ დავიწყეთ, რათა ყველაფერი წყალში არ ჩაიყაროს. ამიტომ მუდმივად ვკითხულობთ მათ ამბავს.

- ადრე ბაღის გამგეები მთელი ცხოვრება ამ თანამდებობაზე რჩებოდნენ და მათი გამოცდილება არ იყო დასაკარგი. თქვენ უკვე დაგიგროვდათ საკმაო გამოცდილება. მიუხედავად ამისა, მომავალში სად ხედავთ თქვენს თავს?

- სწავლის გაგრძელებაზე ვფიქრობ. ამ ათი წლის გადასახედიდან ვხვდები, რომ მეტი განათლება უნდა მიმეღო, მეტი დრო უნდა დამეთმო ამისთვის. ბაღს ძალიან დიდი დრო სჭირდება. ეს არის მუშაობა არა მხოლოდ ორშაბათიდან პარასკევამდე, არამედ შაბათ-კვირის ჩათვლით, მთელი ზაფხული, ადრიანი დილიდან საღამოს 9-10 საათამდე. ეს საკმაოდ რთული გრაფიკია. სწავლა გვერდზე დამრჩა, რაზეც გული მწყდება. დოქტორანტურაზე ვფიქრობ. მხატვრულ თარგმანს დავემშვიდობე. თუმცა, ძალიან საინტერესო საქმეა და ძალიან მიყვარს. ჩემი სამაგისტრო თემა იყო ბაირონის თარგმანების შესწავლა. ვთარგმნიდი კიდეც, მაგრამ ეს საქმე დიდ დროს მოითხოვს. საერთოდ, ერთ საქმეს რომ მოვკიდებ ხელს, არ მიყვარს მისთვის დროის წართმევა და პარალელურად სხვა საქმის კეთება. ამან განაპირობა, რომ ჩემი სპეციალობა დროებით დავივიწყე.

- როგორ წარმოგიდგენიათ აფხაზეთში დაბრუნება? ხშირად ამბობენ, იქიდან წამოსული გოგო-ბიჭები უკან არ დაბრუნდებიანო?

- ბევრჯერ მიფიქრია ამაზე. გული მწყდება, რომ ის თაობა, რომელსაც ყველაზე მეტად უნდოდა დაბრუნება, ჩვენი ბებიები და ბაბუები, სამწუხაროდ, აღარ არიან. ჩვენი მშობლებიც წავლენ ალბათ. მე და ჩემს კლასელებსაც გვინდა დაბრუნება, მაგრამ ჩვენი შვილების თაობა არ ვიცი, წავა თუ არა...

მეგი მარღანიას განვლილი ურთულესი წლებისთვის თვალის მიდევნება იმის თქმის უფლებას აძლევს, რომ მისი თაობა შედგა და მან უცხო ქალაქში, უცხო გარემოში დამკვიდრება და საკუთარი თავის რეალიზება შეძლო. თუმცა „ომი ისეთი რამეა, რომ შეიძლებოდა, საერთოდ დავკარგულიყავით“, - ამბობს მეგი მარღანია.

„აფხაზეთის ეტალონი მოსწავლე“ გამოვლინდა

ირმა გოგოლაძე

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში „ეტალონის“ მორიგი ინტელექტ-ჩემპიონატი გაიმართა. ინტელექტ-ჩემპიონატზე გამოვლინდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეტალონი მოსწავლე“, რომელიც გაზაფხულზე, ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენად ერთმანეთს აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების 43 მოსწავლე მოსწავლე შეეჯიბრა.

აფხაზეთის ა/რ ეტალონი მოსწავლის ტიტულს ცოტნე ქვარაია, აფხაზეთის მე-11 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე დაეუფლა (75 ქულა). მე-2 ადგილზე გავიდა გიორგი გახარია, აფხაზეთის მე-10 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე (72 ქულა), მე-3 ადგილზე კი ელენე გვაგვალია, საბერიოს მე-2 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე (64 ქულა).

მომდევნო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: მე-4 ადგილი - დავით მორგოშია, აფხაზეთის მე-7 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე (62 ქულა); მე-5 ადგილი - მათე თოდუა, აფხაზეთის მე-14 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე (62 ქულა); მე-6 ადგილი - მეგი ლემონჯავა, თაგილონის სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე (61 ქულა); მე-7 ადგილი - ანა შელია, აფხაზეთის მე-3 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე (59 ქულა); მე-8 ადგილი - ლუკა იოსავა, აფხაზეთის მე-11 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე (58 ქულა); მე-9 ადგილი - ნანა ქირია, აფხაზეთის მე-14 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე (57 ქულა).

ინტელექტ-ჩემპიონატს ესწრებოდნენ: **დიმიტრი ჯაიანი,** აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი; **ბესიკ ოდიშარია,** აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე; **ელგუჯა გვაზავა,** აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე; აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლები, სკოლების დირექტორები, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები.

პროექტის მხარდამჭერია დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო აცხადებს ფოტოკონკურსს – „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები”

როგორც ცნობილია, ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები მძიმე მდგომარეობაშია. არსებობს რეალური საფრთხე, რომ მათი დიდი ნაწილი რესტავრირების პერსპექტივის გარეშე განადგურდეს, რაც არა მარტო ქართული მხარის, არამედ აფხაზების გარკვეული ნაწილისა და საერთაშორისო თანამეგობრობის აღშფოთებას იწვევს. აქედან გამომდინარე, ცნობილია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა თავისი საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად აქცია.

ამ სტრატეგიის ნაწილია სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მიერ შემუშავებული კიდევ ერთი ქვეპროგრამა - ფოტოკონკურსი „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები“. ქვეპროგრამა გულისხმობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დარჩენილი კულტურული მემკვიდრეობის (ეკლესია, სასახლე, ხიდი, ციხე, კოშკი, საინჟინრო ნაგებობები და სხვ, ან მათი ნაშთები) ამსახველი ფოტომასალის მოპოვებას, მათი ამჟამინდელი მდგომარეობის დაფიქსირებას, რათა ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ გავაცნოთ და შევახსენოთ აფხაზეთში არსებული ჩვენი ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობა.

ფოტოკონკურსის დებულება და კონკურსანტის სარეგისტრაციო ანკეტის ფორმა იხილეთ სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ ბანერზე „ფოტოკონკურსი“, სამინისტროს მიერ შექმნილ ვებ-გვერდზე „აფხაზეთის კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა“ (www.abculture.ge).

კონკურსანტთა რეგისტრაციისა და საკონკურსო ფოტომასალის წარმოდგენის ბოლო თარიღია 2017 წლის 18 ნოემბერი.

სამედიცინო სემინარი – ვალერი არქანიას არტ გალერეაში

ვალერი არქანიას არტ გალერეაში კომპანია „ნიარმედიკ პლიუს“-ის საქართველოს წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით, აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებების ექიმებისათვის, პრეზენტაცია/სემინარი „თანამედროვე მიდგომები გრიპისა და მ.რ.ვ.ი მკურნალობისა და პროფილაქტიკისადმი“ ჩატარდა.

სემინარს მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **მაია ხერხეულიძე** უძღვებოდა. ტრეინინგს სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, **თენგიზ კვირტია** ესწრებოდა.

სპორტი

აფხაზეთის ღია პირველობა ფარიკაობაში

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით და აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციის მხარდაჭერით, ჩაატარა აფხაზეთის ღია პირველობა ფარიკაობაში 2003-2005, 2006-2007 წ.წ. დაბადებულ გოგონებსა და ვაჟებს შორის ხმალში, რაპირასა და დაშნაში. შეჯიბრებაში საქართველოს რეგიონების მოფარიკავეებთან ერთად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, რუსეთის, ირანის სპორტსმენები.

აფხაზეთის სპორტსმენები შემდეგი საპრიზო ადგილების მფლობელები გახდნენ:

რაპირა - ბიჭები 2003-2005 წ.წ. ნოდარ ბოკერია - III ადგილი; რაპირა - გოგონები, 2003-2005 წ.წ. ნატალია ხარაიშვილი - I ადგილი. ხმალი - ბიჭები 2006-2008 წ.წ. ალექსანდრე თავართქილაძე - I ადგილი; ხმალი - გოგონები 2006-2008 წ.წ. თეკლა ბიწაძე - III ადგილი. ხმალი - ბიჭები 2003-2005 წ.წ. ლუკა ლომინაძე - I ადგილი; ხმალი - გოგონები 2003-2005 წ.წ. ლიზი ბაციაშვილი - III ადგილი. დაშნა - ბიჭები 2005-2007 წ.წ. ლუკა კაჭარავა - II ადგილი;

თამაზ კაკულიას სახელობის პრიზი გადაეცა შეჯიბრების ყველაზე პატარა მონაწილეს კონსტანტინო ძუფას, როზა ჯოლოგუას სახელობის პრიზი კი ტურნირის პერსპექტიულ სპორტსმენს ნიკოლოზ ჭავჭანიძეს. სპორტსმენებს ჯილდოები გადასცეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ როლანდ ნიჟარაძემ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ვიტალი ბენდელიანმა და სხვ.

აფხაზეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და აფხაზეთის მძლეოსნობის ფედერაციის მხარდაჭერით, 2017 წლის 9 აპრილს გაიმართა აფხაზეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში (პროგრამის სხვადასხვა სახეობაში) დიდებში, ბირთვის კვრაში კი 1999-2003 წ.წ. დაბადებულ ახალგაზრდებს შორის.

აფხაზეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში ჩატარდა აგრეთვე, პირადი პირველობის სახით, გოგონებსა და ვაჟებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მძლეოსნები.

აფხაზეთის სპორტსმენებმა შემდეგი საპრიზო ადგილები მოიპოვეს:

ვაჟებს შორის: სიგრძეზე ხტომა - ირაკლი გელანტია, I ადგილი; რბენა 1000 მ. - ნიკა ხოჭოლავა, II ადგილი; რბენა 100 მ. - საბა კურდღელია, I ადგილი; ჭოკით ხტომა - საბა სოსელია, I ადგილი; ჭოკით ხტომა - მიშა ცანავა, II ადგილი; სამმხტომი - ირაკლი გელანტია, I ადგილი; სამხტომი - მიშა ცანავა, III ადგილი.

გოგონებს შორის: ჭოკით ხტომა - სალომე ინჯგია, I ადგილი; ჭოკით ხტომა - მელი შონია, II ადგილი; ჭოკით ხტომა - მეგი შონია, III ადგილი.

სპორტის ადმინისტრატორთა სემინარი

ვალერი არქანიას არტ გალერეაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტორს ორგანიზებით და საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან და ეროვნულ ოლიმპიურ აკადემიასთან თანამშრომლობით, ცოდნისა და ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, სპორტის ადმინისტრატორთა სემინარი გაიმართა. სემინარი სოკ-ის მიერ შემუშავებული სპორტის ადმინისტრირების სახელმძღვანელოს გამოყენებით წარიმართა.

სემინარს გალის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული პედაგოგები და სპორტის მუშაკები, აფხაზეთის საჯარო სკოლის მასწავლებლები ესწრებოდნენ.

სემინარის მონაწილეებსა და მხარდამჭერ ორგანიზაციებს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ როლანდ ნიჟარაძემ.

ფერების დღესასწაული

არტ ფესტივალი ასი ქართველი მხატვრის მონაწილეობით

მაია შონია

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის არტ გალერეაში მოწყობილი არტ ფესტივალი ჩანაფიქრზე უკეთესი გამოვიდა. ორგანიზატორები ფესტივალზე 50 მხატვრის მოწვევას გეგმავდნენ, გალერეაში წარმოდგენილ ექსპოზიციაზე კი ასამდე ქართველი მხატვრის ნამუშევარი გამოიფინა. საგამოფენო სივრცემ ყველა მსურველი ვერც დაიტია. ნამუშევრები ეზოშიც იყო გამოფენილი. ცნობილი მხატვრების გვერდით ახალბედებსაც მრავლად ნახავდით. ფესტივალის უმთავრესი ხიბლი ესეც იყო, რომ დამთვალიერებელს სასურველი ნახატის შეძენაც შეეძლო.

არტ ფესტივალის მოწყობის იდეა ორი სხვადსხვა თაობისა და ხედვის მხატვარს - **დავით ბაძაღუასა და ამირან კუპრავას** - გაუჩნდა. ფესტივალის ორგანიზებაც მათივე შექმნილმა გალერეა 2 ART-მა იტვირთა.

არტ ფესტივალი აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა** გახსნა, მან თქვა: - ჩვენი საგამოფენო დარბაზი სოხუმელი, ძალიან საინტერესო მხატვრის ვალერი არქანიას სახელს ატარებს და გახარებულები ვართ, რომ ასეთ გამოფენა-გაყიდვას სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი. შესანიშნავი წამოწყებაა, რომელიც, მხატვრების ურთიერთგაცნობის პარალელურად, საკუთარ დამთვალიერებელთან შეხვედრასაც გულისხმობს. გილოცავთ ამ არაჩვეულებრივ დღეს და ჩვენი გალერეის კარები თქვენთვის მომავალშიც ყოველთვის ღია იქნება.

გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **ამირან კუპრავამ** სულ რამდენიმე წინადადებაში ჩაატია თავისი ემოცია: - გაზაფხულია, კარგი ამინდია, რაც ყველას გვიხარია. ერთმა მხატვარმა მითხრა, გარეთ როგორი ამინდიც არის, ისეთივე განწყობაა ამ სივრცეშიო. ვფიქრობ, გამოფენა შედგა. მადლობა თითოეულ მონაწილეს, რომელთა გარეშე არაფერი გამოვიდოდა.

გამოფენის მეორე ორგანიზატორმა, მხატვარმა **დავით ბაძაღუამ** თქვა: - ვფიქრობ, ეს დღე მართლაც იქცა ხელოვნების ზეიმად. ამის დასტურია ის ადამიანები, რომლებიც საათობით ათვალიერებდნენ გამოფენას და აღფრთოვანებულები, დადებითად დამუხტულნი ფეხს ითრევდნენ, წასვლა არ უნდოდათ. ეს მიანიშნებს იმაზეც, რომ ამ ფესტივალს განვითარება უწერია და მომავალში, დარწმუნებული ვარ, უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს. მე რადგან აფხაზეთიდან ვარ, ძალიან მინდოდა, ამ კარგ წამოწყებას აფხაზეთთან ჰქონოდა კავშირი. ამიტომაც გავმართეთ ეს ფესტივალი აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს შენობაში, ვალერი არქანიას სახელობის არტ გალერეაში. ვიმედოვნებ, ასეთ ფესტივალს სოხუმშიც ჩავატარებთ.

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **გურამ ცერცვაძე:** - თბილისში არტ ფესტივალებით არც ისე განებივრებულები ვართ. ასი მხატვრის მონაწილეობით გამოფენის მოწყობა, რაც ორმა შესანიშნავმა მხატვარმა შეძლო, არც ისე ადვილია. სხვადასხვა თაობის მხატვრების ასე, ერთ სივცეში შეკრება, ძალიან იშვიათი მოვლენაა. ასეთი გამოფენები არა მხოლოდ თბილისში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც უნდა გაიმართოს. ეს ქართული მხატვრობის პოპულარიზაციისთვისაა აუცილებელი. ქართველი მხატვრების უცხოეთში გასვლაც ძალიან მნიშვნელოვანია. უნდა გაერთიანდეს ყველა მხატვარი და ბევრი ასეთი გამოფენა უნდა მოვაწყოთ. ვულოცავ გამოფენის ყველა მონაწილეს ამ ფესტივალს და მომავალში ასეთი ფესტივალი აფხაზეთში ჩვენს აფხაზ კოლეგებთან ერთად გაგვემართოს.

თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორმა, მხატვარმა **ელდარ ქავშბაიამ** ფესტივალის მნიშვნელობა ასე შეაფასა: - მხატვარსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა არ უნდა გაწყდეს. მხატვარი ხატავს, მაგრამ თუ მნახველი არ ჰყავს, ამას აზრი არა აქვს. მხატვარი სახელოსნოში საკუთარ თავთან მარტოა, ეს ინტიმური მომენტია, მაგრამ ამას მხოლოდ თავისთვის არ აკეთებს. მისი შემოქმედება განკუთვნილია ხელოვნების ამ დარგით დაინტერესებული ადამიანებისთვის. საზოგადოებასა და ხელოვანს შორის თუ არ შედგა კონტაქტი, ვერც ერთი ვერ განვითარდება. ვიღაც დაგინახავს, ვიღაც გაგაკრიტიკებს, ვიღაც შეგაქებს, ვიღაცა იყიდის, ვიღაცები ერთმანეთს დაინახავენ და შეიძლება ახალი პროექტის იდეაც გაჩნდეს. ძალიან მნიშვნელოვანი და კარგია, რომ ეს ყველაფერი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში მოხდა. აქ ძალიან ცნობილი და კარგი მხატვრები იყვნენ წარმოდგენილნი მთელი საქართველოდან. სასიხარულოა, რომ მათ გვერდით თამამად იყო გამოფენილი აფხაზეთის მხატვრების ნამუშევრები და ისინი არავის ჩამოუვარდებოდნენ. ძალიან კარგი იქნება, მომავალში ეს პროექტი განვითარდეს, ექსპოზიციის მოწყობის კულტურა უფრო დაიხვეწოს და რეგულარული ხასიათი მიიღოს. ასეთი გამოფენის ამ სივრცეში გამართვა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთვისაც დიდი წარმატებაა.

აფხაზეთის მხატვრების გამორჩეულობაზე ისაუბრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვახტანგ ყოლბაიამ:** - ამ მასშტაბის გამოფენა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში პირველად მოეწყო და დიდი მადლობა მათ, ვისაც ამ ფესტივალის ჩატარება აზრად მოუვიდა. ძალიან მრავალფეროვანი გამოფენა იყო, რამდენი სტილისა და მიმართულების მხატვარი იყო წარმოდგენილი. როგორც ხელოვნების ჩვეულებრივ მოყვარულსა და დამთვალიერებელს, მეც ძალიან ბევრი ნამუშევარი მომეწონა. გამოფენაზე აფხაზეთის მხატვრები ძალიან ბევრნი იყვნენ და ჩვენთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულოა.

არტ ფესტივალმა მხატვარსა და დამთვალიერებელს შორის უშუალო გარემო შექმნა. წლების უნახავი მხატვრები და ნახატები შეახვედრა ერთმანეთს და ამით ფესტივალის მოწყობის მიზანიც გამართლდა. გამოფენის მნიშვნელობის შეფასებისას სწორედ ამას გაუსვა ხაზი სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების კათედრის გამგემ **ჯუმბერ ბეჭვაიამ:** - ამ პროექტის კონცეფცია იყო, ცნობილ მხატვრებთან ერთად ნაკლებად ცნობილი მხატვრებიც ყოფილყვნენ წარმოდგენილნი და მხატვრებსა და მათ დამფასებლებს შორის ახლო კონტაქტი შემდგარიყო. ვისურვებდი, რომ შემდგომში ახდენილიყოს ზუსტად ის, ერთი საუკუნის წინანდელი ოცნება, რომელიც ჰქონდა ფიროსმანს - დიდი სამოვარი დაედგათ და ემსჯელათ ხელოვნებაზე. მხატვრებს ბევრი ჰქონდათ და აქვთ კიდეც სალაპარაკო. ისინი მხოლოდ ნახატებით არ გამოხატავენ სათქმელს და ამიტომაც ფესტივალის ორგანიზატორებს ამ დიდი მხატვრის ოცნების ახდენას ვუსურვებ. ამდენი ნამუშევრის ერთ სივრცეში თავმოყრა თითქოს მშვენიერების ერთგვარი ამოფრქვევა იყო. თბილისში სხვადასხვა ადგილას მიმოფანტული ეს ნახატები აქ შეიკრიბნენ. ეს ვიზუალურად ძალიან კარგია. აქ მხოლოდ ადამიანები კი არა, ნამუშევრები შეხვდნენ ერთმანეთს. სამი დღის შემდეგ ეს ნახატები ისევ დაიფანტნენ, მაგრამ მათ უკვე ერთმანეთი ეცოდინებათ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ფესტივალის მონაწილე, მხატვარი **ნინო ჩაკვეტაძე:** - მე და ჩემს მეგობრებს იდეა ძალიან მოგვეწონა. ჩანაფიქრი იყო, რომ ნახატები ყველასთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი. ცოტა დაირღვა ეს ფორმატი, რადგან მხატვრებს ნაკლებად აქვთ ჩანახატების, ეტიუდების გაყიდვის გამოცდილება. მე სწორედ ასეთი ნამუშევრები წარმოვადგინე. იდეა ძალიან კარგია და კარგი იქნება თუ მომავალშიც ჩატარდება. მე ყოველთვის მივიღებ მონაწილეობას.

ფესტივალის ორგანიზატორები ანალოგიური ხასიათის გამოფენის მოწყობას შემოდგომაზეც გეგმავენ. ამჯერად ფესტივალი საერთაშორისო იქნება და მის ორგანიზებაში 2 ART-თან ერთად კომპანია „მინიატიურა“ და მისი ხელმძღვანელი ქეთი ლაზარიშვილიც ჩაერთვება. „ქართველი მხატვრები პირველად ნიუ იორკში სწორედ ქეთიმ წარადგინა. ჩვენ მასთან ერთად ერთობლივი ძალებით ვიმუშავებთ და შემოდგომაზე საქართველოს „არტ-ექსპო-თბილისი“ ექნება“, - აღნიშნა დავით ბაძაღუამ.

„სხვებისთვის გაკვალული გზა“, - ასე უწოდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში გამართულ არტ ფესტივალს კომპანია „მინიატიურის“ ხელმძღვანელმა **ქეთი ლაზარიშვილმა:** - არტ ფესტივალის მოწყობა, გადაჭარბების გარეშე, გმირობის ტოლფასია. მალე საქართველო „არტ-ექსპო-თბილისს“ უმასპინძლებს. დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ამ გამოფენის ორგანიზატორებისადმი, რადგან მათ უკვე გამიკვალეს გზა.

რედაქტორი ნატო კორსანტია
ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, ეკატერინე გადილია, სალომე თორია, რუსუდან ემუხვარი